გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№89 (1115) 7 აგვისტო, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მსოფლიოს სამხრეთ კორეიდან ახალი ვირუსი უტევს

გვ.9

ექსკლუზიური ინტერვიუ ენერგოომბუდსმენთან



სალომე ვარდიაშვილი „თელასის", „ყაზტრანსგაზთბილისისა" და „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" წინააღმდეგ?!

გვ.3

როგორ უნდა მოიქცეთ, თუ ენერგოკომპანიები თქვენს უფლებებს ლახავენ

ქიბარ ხალვაში „რუსთავი 2"-ის წილის დაბრუნებას აპირებს

რაში ადანაშაულებს ხელისუფლებასა და პროკურატურას და რა მტკიცებულებები აქვს პროცესის მოსაგებად ბიზნესმენს

გვ.4

ზურაბ ქვანია

სკანდალური საქმე

გვ.5

სპეციალური რეპორტაჟი სასამართლო პროცესიდან

მარიამ (რიმა) ქვანიასა და იაშირ უსუპოვის ჩვენებები

რატომ აღარ დაკითხავენ გია ბარამიძეს

როგორ აფასებენ პროფესიული კოლეჯების დირექტორები მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამას

„მოდულური სწავლების შემოღებით, პედაგოგთა უფლებების დამცველმა მასწავლებლები სახელფასო ხელფასის გარეშე ისე დატოვა, მათ უფლებებზე არც უფიქრია"

გვ.7

დილმა რუსეფი: „ბრაზილია მზადაა ოლიმპიური თამაშებისთვის"

პრეზიდენტის პოზიცია

როგორ უმასპინძლებს მსოფლიოში მეხუთე უდიდესი სახელმწიფო „რიო 2016"-ს

ოლიმპიადა

გვ.10

შინაგან საქმეთა მინისტრი სამხარეო მთავარი სამმართველოების ხელმძღვანელებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი სამხარეო მთავარი სამმართველოების ხელმძღვანელებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრაზე მინისტრმა რეგიონების მიხედვით არსებული ვითარების შესახებ ანგარიში ჩაიბარა. გიორგი მღებრიშვილმა სამხარეო მთავარი სამმართველოების ხელმძღვანელებს სამუშაო პროცესთან დაკავშირებით ახალი დავალებები მისცა და პრიორიტეტული მიმართულებები განიხილა. გიორგი მღებრიშვილმა შეხვედრა ამგვარად შეაფასა: **„დღეს შევხვდი სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელობას, განვიხილეთ მიმდინარე საკითხები. მათ უკვე ჩემგან კონკრეტული დავალებები მიიღეს. ამ ეტაპზე იმის თქმა შემიძლია, რომ თითოეული ოჯახის, თითოეული ჩვენი თანამოქალაქის, სტუმრის უსაფრთხოება დაცული იქნება. აუცილებლად გაგრძელდება ბრძოლა კრიმინალთან, ეს ბრძოლა იქნება უკომპრომისო და ამ უკომპრომისო ბრძოლაში თითოეულ პოლიციელს სრული მხარდაჭერა ექნება“.**

„ვერსიანიუსი“

მდინარე დიღმულაზე მდებარე ხიდი 4 თვით დაიკეტება

5 აგვისტოდან, მარშალ გელოვანის გამზირზე, მდინარე დიღმულაზე მდებარე ხიდი, სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო, 120 დღით დაიკეტება.

ხიდის ავარიულობიდან გამომდინარე, მოხდება მისი სრული დემონტაჟი და მის ნაცვლად აშენდება ახალი, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი კონსტრუქცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტოსატრანსპორტო საშუალებებს გადაადგილება შეეძლებათ შემდეგი ალტერნატიული მარშრუტებით: დ. აღმაშენებლის ხეივნიდან დიდუბის მიმართულებით რობაქიძის გამზირის გავლით და დ. აღმაშენებლის ხეივნიდან მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე რობაქიძის გამზირის გავლით.

ხიდის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს შპს „მამისონი“ აწარმოებს, დედაქალაქის ბიუჯეტიდან პროექტზე 1 მლნ ლარი დაიხარჯება.

მდინარე დიღმულაზე გადასასვლელი ხიდი 1958 წელს დაპროექტდა და აშენდა. ბოლო რეკონსტრუქცია 1970-იან წლებში ჩაუტარდა, ხოლო ბოლო გამოკვლევა — 2000 წელს.

„პირველი“

სუს-ში შს მინისტრის კიდევ ერთი ყოფილი მოადგილე იმუშავებს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, ვახტანგ გომელაურის მოადგილეები, ლევან იზორია და მირიან მჭედლიშვილი იქნებიან.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნულის შესახებ ბრძანება უკვე გამოსცა.

რაც შეეხება ვახტანგ გომელაურის პირველ მოადგილეს, ის იოსებ გოგაშვილი იქნება.

შს სამინისტროს გაყოფის შედეგად შეიქმნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელსაც ვახტანგ გომელაური 6 წლის ვადით ხელმძღვანელობს.

„პირველი“

„დროა, კოალიცია შეეგუოს, რომ მარგველაშვილი „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდის წევრი არ არის“

პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, მარგველაშვილი კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდის წევრი არ არის. როგორც უსუფაშვილმა გადაცემა „პოლიტარტში“ სტუმრობისას განაცხადა, როდესაც საქმე მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებს ეხება, პრეზიდენტმა უნდა შეძლოს პოლიტიკური სპექტრის პოზიციების თავმოყრა: **„დროა, კოალიცია „ქართული ოცნება“ შეეგუოს იმ რეალობას, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი, მართალია, იყო დასახელებული კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ, მაგრამ იგი არ არის კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდის წევრი. ეს მასაც უთქვამს და მე ცოტა მეტსაც ვიტყოდი — პრაქტიკულად, ამას ჩვენი კონსტიტუციური სისტემაც განაპირობებს. პრეზიდენტი შეიძლება იყოს დასახელებული პოლიტიკური პარტიის მიერ, ჰქონდეს გარკვეული ბმა ამ გუნდის პოლიტიკურ ისტორიასა თუ პოლიტიკურ მომავალთან, მაგრამ თავისი ფუნქციების შესრულებისას ის უნდა იყოს არა რომელიმე პარტიის პოლიტიკის გამომხატველი, არამედ, უნდა შეეცადოს, შეაგროვოს პარტიები, შეხედულებები. ამ თვალსაზრისით, პრეზიდენტი ახერხებს თუ არა ამ ფუნქციის ძალიან კარგად შესრულებას, არ ვიცი. შეიძლება იყოს სურვილი, მეც შეიძლება მქონდეს სურვილი, რომ მეტად შეძლოს ამ ფუნქციის შესრულება, არა მხოლოდ ოპოზიციური სპექტრის თავმოყრა და მათი მოსაზრებების გაერთიანება, არამედ, კიდევ უფრო ფართოდ, ზოგადად პოლიტიკური სპექტრის პოზიციების თავმოყრა, როდესაც საქმე ძალიან მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებს ეხება“.**

„პირველი“

თუ მიკროავტობუსის მძღოლები გაფიცვას არ შეწყვეტენ, იძულებულნი ვიქნებით, ხელშეკრულებები გავწყვიტოთ

ყვითელი მიკროავტობუსების 50 მძღოლი კომპანიას გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს, რის გამოც, მათ გაფიცვა გამოაცხადეს. 5 აგვისტოს დაწყებული გაფიცვა დღესაც გრძელდება. მძღოლები, რომლებმაც გაფიცვა გამოაცხადეს, სამუშაოს შესრულებაზე უარს ამბობენ და ყოველდღიური გეგმის შემცირებას ითხოვენ. მათი თქმით, ძველი მთავრობის დროს კაბალურ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. მძღოლების მოთხოვნას „თბილისის მიკროავტობუსის“ წარმომადგენლები გაეცნენ. „თბილისის მიკროავტობუსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ნათია მიქიაშვილის განცხადებით: **„კომპანია ყოველთვის მზადაა მათთან შესახვედრად. თუმცა, ყველა მინდა დავარწმუნო, რომ ეს არის კერძო კომპანია და ვერავინ მოახდენს მასზე ზეწოლას, ვერც ჟურნალისტი, ვერც კონკრეტულ პირთა ჯგუფი. წელიწადში 80 დასვენების დღე, როგორც ჩანს, არ არის საკმარისი. ისინი დანარჩენი დღეები ვალდებულები არიან, იმუშაონ. ვცდილობთ დავარწმუნოთ, რომ არცერთ ადამიანს, რომელიც საქართველოში დღეს მუშაობს, 80-დღიანი დასვენების ფუფუნება წლის განმავლობაში არ აქვს. არსებობს სხვა პრობლემებიც, რომელიც განხილვის თემაა. ჩვენ მათ მოვუწოდებთ, დაუყოვნებლივ დაუბრუნდნენ სამუშაო ადგილებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანიას, უბრალოდ, მოუწევს ხელშეკრულებების გაწყვეტა, რადგან ეს საზოგადოებას პრობლემას უქმნის და ჩვენთვის მთავარია, მგზავრი კომფორტულად და უსაფრთხოდ გადაადგილდეს“.**

„პირველი“

„ვურჩევთ მოქალაქეებს, თავი შეიკავონ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში გადაადგილებისგან“

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მოქალაქეებს რეკომენდაციით მიმართავს, თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში გადაადგილებისაგან თავი შეიკავონ. უწყებაში აღნიშნავენ, რომ აღნიშნული რეკომენდაცია თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებში უკანასკნელ პერიოდში გახშირებული ტერორისტული აქტებიდან და თავდასხმებიდან გამომდინარეობს: **„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ურჩევს საქართველოს მოქალაქეებს, თავი შეიკავონ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში გადაადგილებისაგან. კერძოდ არდაჰანის, ერზერუმის, ერზინჯანის, ყარსის, იღდირის, აღრის, ვანის, ბითლისის, მუშის, ბინგოლის, ელაზიღის, თუნჯელის, მალათიას, შალნიურფასა და ჰაქქარის ვილაიეთებისგან. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს დიპლომატიურ და საკონსულო დაწესებულებებს“.**

სასამართლომ ოთხი წლის ბავშვის მკვლელობისთვის მზია გელაძე დამნაშავედ სცნო

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ოთხი წლის ლიზი შენგელიას დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობაში მზია გელაძე დამნაშავედ სცნო და 13 წლითა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2014 წლის 28 ოქტომბერს, სამტრედიის რაიონის სოფელ ნინუაკუთხეში, მზია გელაძემ ნათესავის — ლელა ახალაძის ოთხი წლის შვილი — ლიზი შენგელია წაიყვანა თავისთან სახლში, რასაც მანამდე არაერთხელ ჰქონია ადგილი. დღის განმავლობაში ლიზი შენგელია თამაშობდა მზია გელაძის ეზოში, საღამოს კი ამ უკანასკნელმა დააძინა ბავშვი თავის საძინებელ ოთახში, რის შემდეგაც დაახლოებით 22 საათზე მძინარე ლიზი შენგელიას პირზე ხელის დადებით განზრახ მოუსპო სიცოცხლე.

ფაქტზე გამოძიება იმავე დღეს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის მუხლით დაიწყო. დანაშაული რამდენიმე დღის მანძილზე გაუხსნელი იყო. ჩატარებული ეფექტური საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ მცირეწლოვანი ბავშვის მკვლელობა მზია გელაძემ ჩაიდინა. იგი სამართალდამცველებმა 12 ნოემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინა.

შს მინისტრის მოადგილეების ვინაობა ცნობილია

შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის მოადგილეები არჩილ თალაკვაძე, დავით ხუციშვილი და თეიმურაზ მღებრიშვილი იქნებიან.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერილი ბრძანებები უკვე გამოქვეყნდა.

რაც შეეხება გიორგი მღებრიშვილის პირველ მოადგილეს, შესაბამისი ბრძანება ჯერ არ გამოცემულა და ჯერჯერობით უცნობია, ვინ დაიკავებს ამ თანამდებობას.

„პირველი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ენერგოომბუდსმენი „თელასის“, „ყაზტრანსგაზთბილისისა“ და „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ წინააღმდეგ?!

აბონენტების რა კონკრეტულ საჩივრებს განიხილავს საღომე ვარდიაშვილი და როგორ უნდა მოიქცეთ, თუ თქვენი უფლებები იღახება

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) 31 ივლისის სხდომაზე გადაწყდა და ს/ს „თელასის“ განაცხადი ტარიფის კორექტირების შესახებ, წარმოებაში მიიღეს. ეს ნიშნავს, რომ „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მსგავსად, ტარიფის გაზრდას „თელასიც“ ითხოვს. კანონის თანახმად, სემეკს განაცხადის განსახილველად 150-დღიანი ვადა აქვს, თუმცა 31 ივლისის სხდომაზე უკვე გაირკვა, რომ მარეგულირებელმა კომისიამ გადაწყვეტილება 2015 წლის 18 დეკემბრამდე უნდა მიიღოს. სწორედ ამ პერიოდში გაირკვევა, გაიზრდება თუ არა დენის ტარიფი თბილისში. როგორ აფასებს ტარიფის გაძვირების პროცესს ენერგოომბუდსმენი? როგორ იცავს მომხმარებელთა ინტერესებს? ფიზიკური თუ იურიდიული პირების რა კონკრეტულ საჩივრებს განიხილავს სხვადასხვა ენერგოკომპანიების წინააღმდეგ? რას ნიშნავს ხანდაზმული დავალიანება და რატომ არ უნდა აღიაროთ ძველი ვალი? „ვერსიას“ ენერგოომბუდსმენი, სალომე ვარდიაშვილი ესაუბრება.

— ქალბატონო სალომე, მართალია, დენის ტარიფი ობიექტური მიზეზების გამო გაძვირდა, მაგრამ როგორც მომხმარებელთა უფლებების დამცველი, როგორ აფასებთ ამ პროცესს?

— ტარიფების თემას მხოლოდ ვიწრო მიმართულებით არ ვუყურებ და ორ ნაწილად გავყოფ: ეს არის სოციალური საკითხი და ინტერესები ენერგეტიკაში. როგორც მომხმარებელთა ინტერესების დამცველს, რა თქმა უნდა, დიდი სურვილი მაქვს, რომ ტარიფები არ გაიზარდოს, რათა 1-თეთრიანი გაძვირებაც კი, მძიმე ტვირთად არ დააწვეს მოსახლეობას. თუმცა, როგორც ენერგეტიკის სფეროში მომუშავე ადამიანს, ის ობიექტური მიზეზებიც მესმის, რასაც მარეგულირებელი კომისია ასაბუთებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფომ მოსახლეობის სოციალურ ნაწილზე პასუხისმგებლობა მყისიერად აიღო, ვგულისხმობ სოციალურად დაუცველთა სუბსიდირებას, რაც ევროპული პრაქტიკაა და ამას დადებითად ვაფასებ. საბოლოო შეფასება ჯერ ადრეა, თუნდაც „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ტარიფებსა და სამომავლო პროცესებთან მიმართებაში, რადგან ტარიფთან დაკავშირებით, ღია სამუშაო პროცესი დაიწყეთ. ენერგოომბუდსმენის აპარატის ინიციატივით, საკონსულტაციო ჯგუფი შეიქმნა, დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც ეს საკითხი აინტერესებთ, თუნდაც პოლიტიკური მოტივაციით, მოვუწოდებთ, ჩაერთონ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება, თუ ამ ჯგუფში ეკონომისტები, ფინანსისტები და ენერგეტიკის ექსპერტები იმუშავებენ, რომლებიც ალტერნატიულ რჩევებსა და მოსაზრებებს მომაწვდიან, რაც შესაძლოა, მარეგულირებელი კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტისგან განსხვავდებოდეს კიდეც.

— ამ ჯგუფში მუშაობის სურვილი თუნდაც პოლიტიკურად მოტივირებულმა პერსონებმა გამოთქვეს უკვე?

— ეს განცხადება 30 ივლისს გავაკეთე, როდესაც საკონსულტაციო ჯგუფის შექმნა გადავწყვიტეთ. იმავე დღეს, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ფინანსისტები“ გამოგვეხმაურნენ, ანალიტიკოსმა ანდრია გვიდიანმა ჯგუფში მუშაობის სურვილი გამოთქვა, რასაც მივესალმები. იგივე განცხადება გავაკეთე 31 ივლისის სხდომაზე, სადაც „თელასის“ მიმართ გაიხსნა ადმინისტრაციული წარმოება. როგორც მახსოვს, პოლიტიკოსებიდან მხოლოდ ჯონდი ბაღათურია ესწრებოდა ამ სხდომას, მაგრამ ასეთი სურვილი არ გამოუთქვამს. იმედია, გამოგვეხმაურებიან, რადგან ახლა აგვისტოა, დასვენებისა და შვებულების პერიოდი და შესაძლოა, ამ პროცესში ჩართვას ამიტომ ვერ ახერხებენ.

— სემეკის 31 ივლისის სხდომაზე უნდა გარკვეულიყო, მიიღებდა თუ არა წარმოებაში „თელასის“ განაცხადს ტარიფის კორექტირებასთან დაკავშირებით და გაირკვა, რომ ეს პროცესი დაიწყო. იმის გამო, რომ სემეკმა საბოლოო გადაწყვეტილება 18 დეკემბრამდე უნდა მიიღოს, ძნელია საუბარი, გაძვირდება თუ არა დენი თბილისშიც, მაგრამ მაინც გკითხავთ...

— შესაძლოა, 18 დეკემბრამდე ეკონომიკური ფონი შეიცვალოს. შესაბამისად, რა გადაწყვეტილებას მიიღებს კომისიის 5 წევრი იმ დროისთვის, ძნელია, ახლა გიპასუხოთ. როგორც მარეგულირებელ კომისიაში ვარაუდობენ, თუ ასეთი სიტუაცია შენარჩუნდება, სავარაუდოდ, ტარიფი თბილისშიც შეიცვლება, მაგრამ ვერანაირ ციფრს ვერ დაგისახელებთ, რადგან ადმინისტრაციული წარმოების დაწყება იმას ნიშნავს, რომ ეს-ესაა, ტარიფის კორექტირებაზე მუშაობა დაიწყო. ტარიფზე მუშაობა ურთულესი პროცესია, ფაქტობრივად, ტომეულებია შესასწავლი, თანაც ეს ყველაფერი ძირითადად, ციფრები და ფორმულებია.

— მით უმეტეს, აგვისტოდან დეკემბრამდე მონაკვეთში, ორი დიდი სეზონური ინფლაციის პერიოდი გვაქვს გასავლელი და არ ვიცით, რა რეალობის წინაშე დავდგებით 18 დეკემბერს. დავუშვათ, ტარიფი გაძვირდა, ეს გადაწყვეტილება ხომ ძალაში 2016 წლის 1 იანვრიდან შევა, ანუ ზამთრის მძიმე პერიოდში. როგორ ფიქრობთ, თბილისელებს ეს ტვირთად არ დააწვება?

— ვადასთან დაკავშირებით, განგიმარტავთ, რომ ამ შემთხვევაში, 18 დეკემბერი გადაწყვეტილების მიღების ბოლო ვადაა. თუ სემეკი 18 დეკემბრამდე ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, ეს კანონის დარღვევა იქნება. მთავარია, სემეკმა ამ დღეს არ გადააცილოს, მაგრამ ვადებთან დაკავშირებით პრობლემა იმდენად არ არის, რამდენადაც ჩვენი მომხმარებლის მატერიალური და ეკონომიკური მდგომარეობა. ამიტომ ისევ სოციალურ საკითხამდე მივდივართ, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში დედაქალაქის მთავრობამ სუბსიდირებაზე უნდა იფიქროს, როგორც ეს საქართველოს მთავრობამ გააკეთა რეგიონის მოსახლეობასთან მიმართებაში.

— ცალკეული ექსპერტები ამბობენ, რომ „თელასთან“ მიმართებაში, სემეკს მეტი ყურადღება მართებს, ფინანსური დოკუმენტები კარგად უნდა შეისწავლოს, რადგან შესაძლოა, გარკვეული რეზერვი არსებობდეს, რათა ტარიფი არ გაიზარდოს. ასეთი რამ შესაძლებელია?

— როგორ არა! ტარიფის კორექტირება ნიშნავს, რომ შესაძლოა, უცვლელი დარჩეს, გაიზარდოს ან შემცირდეს. ტარიფი ბევრი კომპონენტისგან შედგება, ყველა ის კომპონენტი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს, ნაჩვენები იქნება ფინანსურ დოკუმენტებში, რასაც აუცილებლად გაითვალისწინებს მარეგულირებელი კომისია.

— წინა წლების განმავლობაში, სემეკი ხელისუფლების სანოტარო ბიურო იყო, ხოლო ენერგოომბუდსმენი სემეკის გადაწყვეტილების „გამპრავებელი“ და ეს მხოლოდ განვლილ 9 წელს არ ეხება, ასე იყო შევარდნაძის პრეზიდენტობის დროსაც. 2012 წლის შემდეგ ვითარება შეიცვალა და სემეკის მკაცრი კრიტიკოსებიც კი იმედიანად განეწყნენ, რადგან სემეკის სხდომები გახსნეს და ექსპერტებიც მიიწვიეს. რამდენად მზად ხართ, მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე, თუნდაც დამოუკიდებელ სემეკს ან კომპანიებს შეედავოთ, თუ ისინი არასწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ?

— ძალიან კარგი კითხვაა, მარეგულირებელი კომისიის მთელი ხიბლიც ის არის, რომ დამოუკიდებელი სტრუქტურაა. როდესაც „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ტარიფები დგინდებოდა, მთელი კომისიის წინაშე განვაცხადე, თუკი რომელიმე ექსპერტი ან დარგის სპეციალისტი იტყვის, რომ ეს გადაწყვეტილება არასწორია და ტარიფი სხვაგვარად უნდა დათვლილიყო, პირადად მე, როგორც მომხმარებელთა ინტერესების დამცველი, მზად ვარ, მოვამზადო სარჩელი და სასამართლოში ვიდავო. თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ სარჩელი სასამართლოში შევიდეს, ანუ სარჩელი სარჩელისთვის მომზადდეს, ნამდვილად არ მინდა, რადგან ჩვენ, იურისტებმა კარგად ვიცით, რას ნიშნავს დაუსაბუთებელი სარჩელი. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო მარტივად გვეტყვის უარს და ჩვენი პოპულიზმიც ამით დასრულდება. რა თქმა უნდა, აბსოლუტურად თავისუფლები ვართ და თუ არასწორ გადაწყვეტილებას დავინახავთ, მზად ვარ, სასამართლოში გავასაჩივრო!

— თქვენმა წინამორბედმა ნინო გულეიშვილმა, რომელიც ენერგოომბუდსმენის მოვალეობის შემსრულებელი იყო, ინტერვიუში მითხრა, რომ 2013 წლის მანძილზე, დაახლოებით, 250 000 ლარის დავალიანება ჩამოაწერა „ყაზტრანსგაზთბილისსა“ და „თელასს“ მომხმარებლების სასარგებლოდ. ახლანდელი სტატისტიკა როგორია?

— ამ თანამდებობაზე 2014 წლიდან დავინიშნე და 2013 წელი უკვე შეჯამებული დამხვდა. 2013 წლის მანძილზე, სულ 678 განცხადება იყო რეგისტრირებული და დიახ, 300 000 ლარამდე ჩამოწერეს, რაც ამ კომპანიებმა მომხმარებლებს უსაფუძვლოდ დაარიცხეს. ჩვენი მთავარი ფუნქცია სწორედ ეს არის — მომხმარებლების ინტერესების დაცვა მომსახურე კომპანიებთან, რომლებსაც სახელმწიფო მანქანებს ვუწოდებ. კომპანია, რომელიც ბაზარზე ერთადერთია, მონოპოლისტივით მოქმედებს, რადგან თუ თბილისელი ხართ, გაზი და დენი გჭირდებათ, „ყაზტრანსგაზთბილისსა“ და „თელასს“ გვერდს ვერ აუვლით, ფაქტია, ეს კომპანიები სახელმწიფო მანქანებია. შესაბამისად, მათთან მიმართებაში, ენერგოომბუდსმენის ჩართულობა აქტიური უნდა იყოს. ვფიქრობ, ჩვენ მთავარ ფუნქციას კარგად გავართვით თავი: 2014 წელს, მომხმარებელთა მომართვიანობა 3 000 განცხადებამდე გავზარდეთ, რაც 2013 წელთან შედარებით, ხუთჯერ მეტია. ბევრი ვიარეთ რეგიონებში, თბილისის ქუჩებში და ხალხს ვეუბნებოდით, რომ ვარსებობთ. აქციაც გავმართეთ, „გაიცანი ენერგოომბუდსმენი“, შესაბამისად, ბევრმა ადამიანმა გაიგო, რომ არსებობს პიროვნება, რომელიც კონკრეტულ კომპანიებთან დავაში დაეხმარება. პირველი ამოცანა ესაა — ადამიანმა იცოდეს, რომ მის უფლებებს დაიცავენ. 2014 წელს ჩვენ მიერ ჩამოწერილი თანხების რაოდენობა 1 200 000 ლარი იყო. ტარიფები ყოველთვის მწვავე თემაა, რადგან პოლიტიკური ანგაჟირების საკითხი ხდება, მაგრამ ასეთ საქმეებს რომ ვაკეთებთ, რატომღაც ხალხი ვერ იგებს. დიდ მადლობას გიხდით, რომ ამ თემით დაინტერესდით, რადგან ამ სტატიას ჩვენი მომხმარებლები წაიკითხავენ და უფრო მეტი მოგვმართავს. 2015 წელს პირველი დეკადის შეჯამებისას აღმოჩნდა, რომ უკვე 1 100 განცხადებაა რეგისტრირებული და ჯამში, 500 000 ლარამდე ჩამოვწერეთ. ეს ის თანხაა, რომელიც კომპანიამ სრულად უსაფუძვლოდ დაარიცხა აბონენტს. არადა, იცით, როგორი უწყინარი საკითხებია? მაგალითად, მრიცხველი გაგიფუჭდათ, მოვიდა კომპანიის წარმომადგენელი, გამოცვალა მრიცხველი, მაგრამ დაგაბრალათ, რომ თქვენ გააფუჭეთ, რის გამოც თანხას დაგარიცხავთ. სინამდვილეში, არაფერ შუაში ხართ, მრიცხველს არც კი გაკარებიხართ, უბრალოდ, სიძველისგან გაფუჭდა, მაგრამ რატომ იზარალოს კომპანიამ? ზოგი ადამიანი თანხის კი არა, საკუთარი ავტორიტეტისა და იმიჯის გამოც ჩივის — რატომ უნდა ერქვას ბუნებრივი აირის, ან ელექტროენერგიის დამტაცებლის სახელი და რატომ უნდა იყოს ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი, როცა ასე არ არის. გარდა ამისა, ხანდაზმული დავალიანებების პრობლემაც გვაქვს, რომელიც ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში დაგროვდა და ახლა, 21-ე საუკუნეში, მემკვიდრეობით გადმოვიდა. ასეთი დავალიანებების მოთხოვნის უფლება კომპანიებს აღარ აქვთ და თუ მომხმარებელმა ეს არ იცის, ის კომპანიასთან მოლაპარაკებაზე მიდის, დებს ხელშეკრულებას, აღიარებს ამ ვალს, რომელსაც გაუნაწილებენ და მთელი ცხოვრების მანძილზე, ახდევინებენ. ერთ-ერთ სხდომაზე, 70 ასეთი განცხადება მქონდა წარდგენილი, რომლებიც ძველ ვალს ეხებოდა და ჯამში, 102 000 ლარი ჩამოვაწერეთ კომპანიებს.

— სემეკის 6 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგს რომ გადავხედე, უამრავი განცხადება უნდა განიხილოთ „ყაზტრანსგაზთბილისის“, „თელასისა“ და „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ წინააღმდეგ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რაზე დაობენ ფიზიკური და იურიდიული პირები?

— „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერით“ დავიწყებ, რადგან ეს საკმაოდ მწვავე საკითხია. ბოლო პერიოდში, ბევრი შეტყობინება მივიღეთ, რომ თბილისის მასშტაბით, ეს კომპანია მოქალაქეებს ცუდ და არასათანადო მომსახურებას უწევს. 2014 წლის ჩემს ანგარიშში, უდიდესი ნაწილი სწორედ შარშან ზაფხულს, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მუშაობას ეთმობა. წელს ამდენი გეგმური სამუშაო არ ჩაუტარებიათ და ზაფხულში, კონკრეტული სამუშაოები არ დაუგეგმავთ, მაგრამ სამწუხაროდ, მომსახურების შეწყვეტის უამრავი შემთხვევა დაფიქსირდა. არადა, კომპანიამ ეს სამუშაოები ისე უნდა ჩაატაროს, განსაკუთრებით ზაფხულში, რომ მომხმარებელმა ვერ იგრძნოს. დროის იმ მონაკვეთში უნდა შესრულდეს და იმ პერიოდულობის დაცვით, რომ მომხმარებელზე უარყოფითად არ იმოქმედოს. ბოლო შემთხვევა მახსენდება ვაზისუბანში, სადაც ოთხ მიკრორაიონს, სამი დღის მანძილზე შეუწყდა სასმელი წყალი.

დასასრული მე-4 გვერდზე

ვერსიანიუსი

ოთარ დანელია „როსპოტრებნადზორის“ განცხადებას გაუგებრობას უწოდებს

სოფლის მეურნეობის მინისტრის, ოთარ დანელიას განცხადებით, რუსეთში ქართულ ღვინოზე გამოთქმულ პრეტენზიებზე მოკვლევა დაიწყო და მას იმედი აქვს, რომ ეს რაიმე სერიოზულ პრობლემაში არ გადაიზრდება.

როგორც დანელია აცხადებს, ქართული პროდუქტი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გადის და ხარვეზი არასოდეს დაფიქსირებულა: **„ჩვენ ძალიან პრაქტიკულად ვუდგებით ამ პრობლემას. უნდა ვიყოთ მაქსიმალურად ობიექტურები. დავიწყეთ მოკვლევა. ეს ჯერ მხოლოდ გაუგებრობას ჰგავს. იმედი გვაქვს, რაიმე სერიოზულში არ გადაიზრდება. ქართული პროდუქცია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გადის და ხარვეზი არ ყოფილა, მაგრამ, რა თქმა უნდა შევისწავლით, რომ გამოვრიცხოთ ნებისმიერი პრობლემა“.**

კითხვაზე, იყო თუ არა გამართლებული რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქტის დაბრუნება, დანელია აცხადებს, რომ ნებისმიერ ბაზარზე შესვლა გამართლებულია: **„გამართლებულია ყველა ბაზარზე შესვლა. რისკები ნებისმიერ ბაზარს შეიძლება ახლდეს“.**

„როსპოტრებნადზორმა“ განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ **„ქართველი ღვინის მწარმოებლები, ღვინის წარმოების ტექნოლოგიას სისტემატურად არღვევენ“**. რუსეთის მთავარი სანიტარული სამსახური აღნიშნავს, რომ გამოვლენილია ალკოჰოლური პროდუქციის 10 პარტია: კონიაკი „ძველი კახეთი“, კონიაკი „კოლხიდა“ და წითელი ღვინო „საფერავი“, რომლებიც არ შეესაბამებოდა უსაფრთხოებისა და ხარისხის მოთხოვნებს. „როსპოტრებნადზორში“ ეს ფაქტი შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან არასათანადო კონტროლზეც მოწმობს.

„პირველი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ქიბარ ხალვაში „რუსთავი 2“-ის წილის დაბრუნებას აპირებს

4 აგვისტოს, ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის წილის დაბრუნების მოთხოვნით, სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ხუთ დღეში, ანუ 9 აგვისტოს გაირკვევა, მიიღებს თუ არა სასამართლო ამ საქმეს წარმოებაში, თუმცა ბიზნესმენის ქართველი და გერმანელი ადვოკატები ვარაუდობენ, რომ სასამართლო მათ სარჩელს დააკმაყოფილებს. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ქიბარ ხალვაშმა სასამართლოსგან „რუსთავი 2“-ის პარტნიორთა წილების დაყადაღება მოითხოვა. ადვოკატების განმარტებით, მათ ინფორმაცია აქვთ, რომ „რუსთავი 2“-ის წილების გადაფორმება კიდევ ერთხელ იგეგმება, რაც სამართლიანობის აღდგენისა და კანონიერი მესაკუთრისთვის წილის დაბრუნების პროცესს გართულებს.



რაში ადანაშაულებს ხელისუფლებასა და პროკურატურას და რა მტკიცებულებები აქვს პროცესის მოსაგებად ბიზნესმენს

ქიბარ ხალვაშის ადვოკატის, **პაატა სალიას** განმარტებით, სასამართლო პროცესში კონსულტაციებს გერმანიის ცნობილი იურიდიული კომპანია „ზოლმეკე“ გაუწევს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართალი გერმანულს ეფუძნება და ძირითადი საკითხები იდენტურია. იურიდიული კომპანია „ზოლმეკე“ კი სამოქალაქო სამართალში საკმაოდ გამოცდილი კომპანიაა და მათი კონსულტაციები ამ პროცესში მნიშვნელოვანია.

ადვოკატების განმარტებით, უკვე მეშვიდე წელია, ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში, მის მიმართ განხორციელებული ძალადობისა და საკუთრების ხელყოფის ფაქტებზე, გამოძიების დაწყებას ამაოდ ითხოვს. სააკაშვილის პრეზიდენტობის პირობებში, ბიზნესმენის კანონიერი მოთხოვნის უგულებელყოფა მოსალოდნელი და გასაგები იყო, მაგრამ 2012 წლის არჩევნებიდან 3 წლის თავზე, ახალი ხელისუფლების უმოქმედობა გაუგებარია.

პაატა სალიას თქმით, სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლა, ქიბარ ხალვაშმა ჯერ კიდევ 2008 წელს დაიწყო, როდესაც საქართველოს პროკურატურას, „რუსთავი 2“-ის იძულებით ჩამორთმევის ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით მიმართა. ადვოკატი ამბობს, რომ ამ მოთხოვნით ბიზნესმენმა არაერთხელ მიმართა პროკურატურას 2012 წლის შემდეგაც, მაგრამ უშედეგოდ: **„ჩვენ ვადანაშაულებთ ხელისუფლებასა და პროკურატურას უმოქმედობაში და „რუსთავი 2“-ის ნომინალური მეწილეების მფარველობაში. სამწუხაროდ, უკვე აშკარაა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ვერ თუ არ ასრულებს მის მიერ, წინასაარჩევნო პერიოდში გაცემულ დაპირებას სამართლიანობის აღდგენასა და უკანონოდ ჩამორთმეული ქონების რესტიტუციასთან დაკავშირებით. ყველას გასაგონად გვინდა აღვნიშნოთ და ეს ქიბარ ხალვაშის ცალსახა პოზიციაა, რომ მისი შელახული უფლებების სამართლებრივი გზებით აღდგენის პროცესში, არ უნდა განხორციელდეს ისეთი ქმედებები, რაც ტელეკომპანიის ჟურნალისტების საქმიანობას შეაფერხებს. მივმართავთ ხელისუფლებას და მოვუწოდებთ, ხელს ნუ შეგვიშლის სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლაში, რასაც მხოლოდ სამართლებრივი გზით განვახორციელებთ“.**

5 აგვისტოს, „რედისონ ბლუ ივერიაში“, ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის ადვოკატებმა პრესკონფერენცია გამართეს. ბიზნესმენის ადვოკატს პაატა სალიას, „ვერსიამ“ რამდენიმე კითხვით მიმართა:

— ბატონო პაატა, „რუსთავი 2“-ის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება კარგადაა ცნობილი და მათ პოზიციას, ქიბარ ხალვაშის განცხადება ერთი ერთში დაემთხვა. სამწუხაროდ, ბიზნესმენი აქამდე აქტიურობით არ გამოირჩეოდა, მხოლოდ 2012 წელს მოითხოვა „რუსთავი 2“-ის წილის დაბრუნება და ეს პროცესი შეჩერდა. ჩნდება ლოგიკური ეჭვი, რომ ხელისუფლების ინტერესების გათვალისწინებით, უნისონში მოქმედებთ...

— როდესაც უნისონზე ვსაუბრობთ, ამაში გარკვეული ლოგიკაც ხომ უნდა არსებობდეს? 2008 წლიდან ითხოვს ქიბარ ხალვაში წილების დაბრუნებას და ეს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიცაა ასახული. შეგახსენებთ იმ პერიოდსაც, როდესაც სააკაშვილი იყო პრეზიდენტი, მაშინაც არაერთხელ გაკეთდა განცხადებები, ე.წ. კოჰაბიტაციის პერიოდშიც ვაკეთებდით განცხადებას, ანუ ეს პერმანენტული პროცესი იყო და გარკვეული მოლოდინიც გვქონდა, თუმცა, როცა ვხედავთ, რომ არანაირი გამოსავალი არ არის, პროკურატურა უმოქმედოა, სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ სარჩელის მომზადება. ხელისუფლებას „რუსთავი 2“ შეიძლება მოსწონდეს ან არა, მაგრამ ბატონი ქიბარ ხალვაში ტელეკომპანიის წილების დაბრუნებას ამ ხელისუფლების მოსვლამდე დიდი ხნით ადრე ითხოვდა შესაბამისად, ეს უნისონი არ არის, ჩვენი მოთხოვნა ყოველთვის არსებობდა და თუ გარკვეულ კონტექსტში, ხელისუფლებას ეს ტელეკომპანია არ მოსწონს, ჩვენი პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: თუ „რუსთავი 2“ ქიბარ ხალვაშის საკუთრება გახდება, არავის ხელში იარაღი არ იქნება, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ტელევიზია გახდება, როგორიც 2004-დან 2006 წლამდე იყო.

— გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, ეროსი კიწმარიშვილმა „ვერსიასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას უკვე ყველანაირი იმედი ჰქონდა დაკარგული „რუსთავი 2“-ის დაბრუნებასთან დაკავშირებით, სხვათა შორის, გერმანელ ადვოკატებთან კონსულტაციებს კიწმარიშვილიც გადიოდა, მან პირდაპირ თქვა, რომ სასამართლოში ამ პროცესის მოგების შანსი აღარ არსებობდა და მზად იყო, ახალი ტელეკომპანია შეექმნა. თქვენ რა რეალური სამართლებრივი არგუმენტები გაქვთ ამ პროცესზე?

— იურისტებს ასეთი ხუმრობა გვაქვს: იქ, სადაც ორი იურისტია, ყოველთვის სამი აზრი არსებობს. აქედან გამომდინარე, აპრიორი იმის თქმა, რომ ის, რაც აწ გარდაცვლილ ეროსი კიწმარიშვილს გერმანელმა ადვოკატმა ურჩია, აუცილებლად სწორია, მართებული არ არის. ჩვენ და ჩვენს კოლეგებს მიგვაჩნია, რომ ქიბარ ხალვაშის მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი აქვს, ამიტომაც მივმართავთ სასამართლოს და თუ ასე არ არის, ამასაც სასამართლო დაადგენს. ცხადაია, მტკიცებულებები გვაქვს და მათი დიდი ნაწილი სასამართლოში წარვადგინეთ, ნაწილსაც მოგვიანებით წარვადგენთ. როგორც კი ხუთი დღის შემდეგ, სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, რათა წარმოებაში მიიღოს ეს საქმე, ამ მტკიცებულებებს დეტალურად გაგაცნობთ.

— ქიბარ ხალვაში მხოლოდ „რუსთავი 2“-ის წილის დაბრუნებას ითხოვს თუ „არტი ჯგუფსა“ და ბეტონის ქარხანასაც დაიბრუნებს?

— აქ მცირეოდენი განსხვავებაა, „არტი ჯგუფისა“ და ბეტონის ქარხნის წილები დღესაც ქიბარ ხალვაშის სახელზეა გაფორმებული. ამ შემთხვევაში, მისთვის წილები არ ჩამოურთმევიათ, უშუალოდ, ქონება ჩამოართვეს, ისიც ხელოვნურად შექმნილი და გაზრდილი საგადასახადო დავალიანების გამო. ამასთან დაკავშირებით, პროკურატურას 2012 წლის ნოემბერში კიდევ ერთხელ მივმართეთ, მაგრამ სამი წელი გავიდა და დღემდე უშედეგოდ ველოდებით გადაწყვეტილებას. თუმცა, როდესაც პროკურატურაში ახალი დეპარტამენტი შეიქმნა, გარკვეული მოქმედებები შეინიშნებოდა, იმ პერიოდში, რამდენიმე მოწმე დაკითხეს, მაგრამ ამაზე შორს არ წასულან. შეგახსენებთ იმასაც, რომ 2009 წელს, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც მივმართეთ, საქმე წარმოებაში მიიღეს და ვფიქრობთ, უახლოეს მომავალში, ეს პროცესი იქაც დაიძვრება.

— უკაცრავად, ირაკლი ოქრუაშვილი საქმის კურსშია? მასთან ერთად ითხოვს ქიბარ ხალვაში „რუსთავი 2“-ის წილის დაბრუნებას?

— ირაკლი ოქრუაშვილი რა შუაშია?

— მეგობრები არიან და ერთად ფლობდნენ „რუსთავი 2“-ის წილებს.

— მეგობრობა პირადი თემაა და ამაზე ვერ ვისაუბრებ. არ ვიცი და ვერ გეტყვით, მეგობრობენ თუ არა ისინი დღეს. ამ თემაზე მუშაობისას, ირაკლი ოქრუაშვილი არ შემხვედრია, მასთან არანაირი კონტაქტი არ მქონია, მეტიც, მას საერთოდ არ ვიცნობ. როგორც ვიცი, ირაკლი ოქრუაშვილს ქიბარ ხალვაშის წილებთან არანაირი კავშირი არ ჰქონია, ისინი მხოლოდ და მეგობრობდნენ და სწორედ ამ მეგობრობას შეეწირა ქიბარ ხალვაშის ბიზნესინტერესები!

ენერგოომბუდსმენი „თელასის“, „ყაზტრანსგაზთბილისისა“ და „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ წინააღმდეგ?!

მე-3 გვერდიდან

ჩვენი თვალით ვნახეთ, რა დღეში იყო მოსახლეობა, როდესაც კომპანიამ მხოლოდ ერთი ცისტერნა წყალი შეიტანა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა. რასაკვირველია, ეს ფაქტი უკვალოდ არ ჩაივლის, ამ ყველაფერს ავსახავთ და კომპანიას შესაბამის რეკომენდაციასაც მივცემთ. უნდა აღინიშნოს, რომ განცხადებების სიმრავლით, წყალმომარაგება მეორე ადგილზეა, ელექტროენერგია ყოველთვის ლიდერობს, მაგრამ ყველას ჰგონია, რომ მეორე ადგილზე ბუნებრივი აირი უნდა იყოს, არადა, აღმოჩნდა, რომ წყალმომარაგებაა. ვითარების გამოსასწორებლად, ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, მარეგულირებელ კომისიაში სამუშაო ჯგუფიც კი შეიქმნა, რომელშიც ჩვენც ჩავერთეთ, რათა წყალმომარაგების საკითხებში კონკრეტული ცვლილებები მომზადდეს. ამ ცვლილებებით, კომპანიისთვის ზუსტი მითითებები მომზადდება, როგორ მოიქცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, დაჯარიმდეს კიდეც. ვფიქრობ, მკაცრი ხელი აუცილებელია, რათა ამ მიმართულებით, მომსახურება და მენეჯმენტი გამოსწორდეს.

რაც შეეხება სემეკის 6 აგვისტოს სხდომას, ჩემი საკითხები გადის ს/ს „თელასის“ წინააღმდეგ. შარშან მაისში, ასეთი პრობლემის წინაშე დავდექით — შესაძლოა, თბილისის შემოგარენის სოფლებში მაცხოვრებელი ყველა ოჯახი ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილიყო. ვგულისხმობ კოჯრის, კიკეთის, წავკისის, ოქროყანისა და შინდისის მაცხოვრებლებს, რომლებიც მოგვიანებით შემოუერთდნენ თბილისს და „თელასის“ არეალში მოხვდნენ. გაირკვა, რომ ყველა ოჯახს, მნიშვნელობა არ აქვს, სოციალურად დაუცველი იყო, ძალიან შეძლებული, თუ მოაგარაკე, ელექტროენერგიის საკმაოდ დიდი დავალიანება ჰქონდა. როგორც ჩანს, წლების განმავლობაში, მომხმარებლები ვალს იგროვებდნენ, რადგან გადახდას არავინ სთხოვდა და ერთ დღეს, „თელასმა“ გადაწყვიტა, ამ დავალიანების გამო, ყველა ოჯახისთვის დენი შეეწყვიტა. იმდენი ვიმუშავეთ, ამ სოფლებს დღემდე ვუნარჩუნებთ ელექტროენერგიას. მეტიც, ზამთარში არც ერთი მოსახლე არ დაგვრჩენია დენის გარეშე. დაახლოებით, 1 500 განცხადება მაქვს ამ სოფლებიდან და თითოეულ მათგანზე, საქმის ცალკე წარმოება დავიწყეთ. „თელასს“ შესაბამისი მოთხოვნით მივმართე, რომ გვაცადოს და დავის დასრულებამდე, ამ ხალხს დენი არ შეუწყვიტოს. ახლა იმას ვცდილობ, რომ ამ ხანდაზმული დავალიანებების თემაც საბოლოოდ მოვაგვარო და ეს თანხა ჩამოვწერო. იმედი მაქვს, სემეკის 6 აგვისტოს სხდომაზე, რამდენი ათეული ათასი ლარის დავალიანებას ჩამოვწერ, რომლის მოთხოვნის უფლება „თელასს“ არ აქვს! ზოგადად, ძნელი გადასატანი იქნებოდა, ამდენი სოფელი დენის გარეშე დარჩენილიყო, იცით, ეს რამხელა უკმაყოფილებას წარმოშობდა? „თელასი“ კერძო კომპანიაა და ყველანაირად ცდილობს, ნებისმიერი თეთრიც კი ამოიღოს, მაგრამ ჩვენ ვადასტურებთ და შესაბამისი კანონმდებლობით ვამტკიცებთ, რომ ძველი დავალიანების გადახდა არ შეიძლება. მინდა, კარგად გაიგოს მომხმარებელმა, რას ნიშნავს ძველი ვალი, რადგან ზოგს ჰგონია, რომ შარშანდელი ვალიც ძველია. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ხანდაზმულია დავალიანება, რომელიც წარმოშობილია სამი და უფრო მეტი წლის წინ. ახლა ხომ 2015 წლის აგვისტოა, მაგალითად, 2012 წლის აგვისტომდე დაგროვილი ყველა დავალიანება ხანდაზმულია, ხოლო 2012 წლის აგვისტოს შემდეგ, 2015 წლის აგვისტომდე დაგროვილი დავალიანება მიმდინარეა, რომელიც მომხმარებელს ან თავის დროზე უნდა გადაეხადა, ან მისი გადახდა ახლა მოუწევს.

— ქალბატონო სალომე, როგორ უნდა დაგიკავშირდნენ მომხმარებლები, რათა მათი საჩივრები განიხილოთ?

— ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, უნდა დაწერონ განცხადება, რასაც უშუალო მომართვიანობას ვუწოდებთ. თუმცა არიან მოქალაქეები, რომლებსაც გადაადგილება არ შეუძლიათ ან რომლებიც მუდმივად სამსახურში იმყოფებიან და ჩვენთან დაკავშირებას ვერ ახერხებენ, ამისთვის Facebook-გვერდი გვაქვს და შეუძლიათ, იქ მოგვმართონ. გარდა ამისა, შეუძლიათ დაგვირეკონ და თუ ჩემი თანაშემწეები მიხვდებიან, რომ მათი პრობლემა ჩვენს კომპეტენციაში შემოდის, სატელეფონო ზარით მიღებულ შეტყობინებას ოქმის სახით გააფორმებენ და საკანცელარიო წარმოებაში, ჩვეულებრივ განცხადებად დაარეგისტრირებენ. როგორც ხედავთ, ჩვენთან მომართვა ძნელი არ არის. რაც მთავარია, გვაქვს ვებგვერდი — „მიმართე ომბუდსმენს“, სადაც სპეციალურ გრაფას თუ შეავსებთ, ესეც საკანცელარიო ბაზაში, ჩვეულებრივ განცხადებად დარეგისტრირდება. მეტი კომფორტისთვის, ენერგოომბუდსმენის რეგიონული წარმომადგენლობებიც დავამატეთ ქუთაისსა და ბათუმში. წლის ბოლომდე, კახეთშიც გვეყოლება წარმომადგენელი, მაგრამ ჯერ არ ვიცით, კონკრეტულად რომელ ქალაქში. რაც შეეხება სარჩელის მომზადებასა და სასამართლოში დავას, ჩვენი ყველა მომსახურება უფასოა, რაც ენერგოომბუდსმენის აპარატის მნიშვნელოვანი მესიჯია!

ზურაბ ჟვანია

სკანდალური საქმე

სპეციალური რეპორტაჟი სასამართლო პროცესიდან

რა ჩვენება მისცეს მარიამ ჟვანიამ და იაშირ უსუპოვმა და რა რეაქცია ჰქონდა მიხეილ სააკაშვილს, როდესაც ზურაბ ჟვანიას სიკვდილის ამბავი შეიტყო

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

5 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლოში ზურაბ ჟვანიას დედა, მარიამ (რიმა) ჟვანია და რაულ უსუპოვის მამა, იაშირ უსუპოვი დაკითხეს. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ პრემიერი გაზით არ გაგუდულა. „ვერსია“ მარიამ ჟვანიასა და იაშირ უსუპოვის ჩვენებების, არასრულ ვარიანტს გთავაზობთ.

მარიამ (რიმა) ჟვანია: ხარშილაძეს 1997 წლიდან ვიცნობ. ძაძამია ზურას დაცვაში მოგვიანებით მოვიდა. ერთხელ მანქანა გადაუბრუნდა, სადაც ნინო და ბუსუნა ისხდნენ. ის გაუშვეს. დრო რომ გავიდა, ძაძამია ჩემთან ტირილით მოვიდა, მთხოვა, ზურას სამსახურში აღედგინა... ჯანდაბა ჩემს თავს, გამიხმეს ენა, მე ვთხოვე ზურას, რომ ის მიეღო. ზურა ისე ეყრდნობოდა მის დაცვას წევრებს, როგორც მეგობრებს. ნებისმიერ სიტუაციაში ცდილობდა დახმარებოდა. ზურას დაცვის უფროსად სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხალხი იყო. თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო კახა გოჩაშვილზე და რეზო ქადაგიშვილზე. სწორედ ამათ შემდეგ გახდა დაცვის უფროსი ხარშილაძე. ამ ხალხთან მე წყნარად ვიყავი, რადგანაც თუ საჭირო იქნებოდა, სიცოცხლის ფასად დაიცავდნენ ზურას. არასაჯარო შეხვედრებისთვის ზურას ბინა ჰქონდა. კახას უთქვამს, ყოველ 20 წუთში დაგირეკავ და თუ პასუხს არ გამცემ, კარს შემოვანგრევო. ზურამ თქვა, რომ დამირეკა, ცოტა ხანს არ ვპასუხობდი და მართლაც კარის შენგრევა დამიპირაო. ეს ზურამ სიცილით მოყვა...

— ქალბატონო რიმა, ზურაბ ჟვანიას ყველაზე კარგად იცნობდით. გაიხსენეთ, როგორი ადამიანი იყო?

— მოკლედ თქმა გამიჭირდება. ზურა 1963 წლის 9 დეკემბერს დაიბადა. მოსიყვარულე, ცოდნის მოყვარე და ცოცხალი ბავშვი იყო. წერა-კითხვა ადრე დაიწყო. 6 წლის ასაკში უკვე იგავებს წერდა. საკვირაო სკოლაში დადიოდა, სადაც ბავშვებს ბიბლიას უკითხავდნენ. ისე შეუყვარდა ღმერთი, ჩვენც გადმოგვდო და მალევე გავქრისტიანდით. როცა პარლამენტის თავმჯდომარე გახდა, დიდი პატივით და სიყვარულით ეპყრობოდა უწმინდესს. მეგობრობდა სასულიერო პირებთან. ეს ურთიერთობა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების გაფორმებით დაგვირგვინდა. უყვარდა ცხოველები. მეორე კურსზე კვლევითი სტუდენტური ლაბორატორია დააარსა, სადაც მეგობართან ერთად გამოკვლევებს ატარებდა. 1988 წელს, როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობა გაცოცხლდა, ჩათვალა, რომ ეს იყო გზა საქართველოს გათავისუფლებისთვის. მოგვიანებით, მწვანეთა მოძრაობაც დააარსა... 1993 წელს ჯვარი ნინო ქადაგიძეზე დაიწერა. მეჯვარე, უახლოესი ძმობილი, გია ბარამიძე იყო. სამი ბავშვი ეყოლათ. მოყვარე და იუმორით სავსე იყო. ბევრი ამხანაგი ჰყავდა, მაგრამ ყველაზე ახლო ურთიერთობა სამ ადამიანთან ჰქონდა, მათ შორის იყო ბარამიძე. ცნობილი ადამიანებისგან ასევე მეგობრობდა ხათუნა გოგორიშვილთან. გიასთან ურთიერთობა ჩემი განსაკუთრებული ტკივილია, რადგან ის შვილივით მიყვარდა. ზურას გარდაცვალების მერე, გიას თავის გოგონასთან ერთად მიყავდა ზურას ბავშვები სასეირნოდ, ჩემთანაც მოდიოდა. იმედი მქონდა, რადგან მთავრობაში იყო, სიკვდილის მიზეზს აუცილებლად გაარკვევდა.

— გისაუბრიათ ამის შესახებ?

— სულ ვეკითხებოდი, როგორ მიდის გამოძიება-თქო. მეუბნებოდა, ყველაფერი თავის დროზე იქნებაო. ვკითხე, გჯერა იმ სიბინძურის, რასაც ზურას აწერონ-თქო? მითხრა, ამაზე არ იფიქროთ, გამოძიება ყველაფერს დაადგენსო... ბოლოს ვუთხარი, თუ ზურას ამ სიბინძურეს აწერენ, მაშინ იგივე შენც უნდა მოგაწერონ, სულ ერთად იყავით-თქო. დაწყნარდით, რიმა დეიდა, ყველაფერი გაირკვევაო. ჩვენი ყველაზე არასასიამოვნო შეხვედრა 2008 წელს შედგა. თავს უფლება მივეცი მეთქვა: „შენ არა მარტო ზურას უღალატე, არამედ იმ გზას, რომელსაც ზურასთან ერთად გადიოდი“. ამის მერე აღარ გამოჩენილა ჩვენს ცხოვრებაში...

— გოგორიშვილის შესახებ რა შეგიძლიათ გვითხრათ?

— მეზობლებიც ვიყავით. ხათუნას ოპერაცია ჰქონდა გადატანილი. დიეტაზე იყო და ვცდილობდი, მისთვის ხელი შემეწყო. სულ ჩამოდიოდა ჩემთან, ვიხსენებდით ზურას. ერთხელ ვუთხარი, ათი წლის განმავლობაში რამდენჯერ შეიძლება ადამიანი მოკლან, ისმის არარსებული დელიკატური საქმე... ჩემზე უკეთ ზურას ვინ იცნობდა? ჭკვიანი და კეთილი იყო. დიდი ადამიანი. იმიტომ კი არა, რომ ჩემი შვილი იყო. აი, გოგლაზე ხომ არ ვამბობ, დიდი ადამიანია-თქო. ზურა ნამდვილად დიდი ადამიანი იყო. ხათუნამ მითხრა, ნეტავ დადგეს დრო, სიმართლე ითქვასო...

— რომელ სიმართლეზე გესაუბრებოდათ ხათუნა?

— ერთხელ ხათუნამ თქვა, ვითომ ნინომ სთხოვა, რომ ეს საქმე არ გახმაურებულიყო... მას მერე შემხვდა სადარბაზოში, ჩვეულებრივად აპირებდა გადახვევას, მაგრამ გავაჩერე და ვუთხარი: „გაინი, არ გიცნობ“.... ეს იყო და ეს.... იმის მერეც, ვეცდები, არასდროს შევხვდე... მე ერთი რამე მიკვირს. დაცვის წევრების ამდენი ტყუილის მერე, როგორ შეიძლება ვინმეს ეჭვი ჰქონდეს, რომ ეს სიმართლეა და ზურა გაზით გარდაიცვალა? ზურა კობას ენდობოდა. მან დაამთავრა ჯიპა, შემდეგ ინგლისურის კურსები. ზურა ფიქრობდა, რომ ეს კარიერისთვის გამოადგებოდა...

— ქალბატონო რიმა, იქნებ 2005 წლის 2 თებერვალი გაიხსენოთ.

— იმ ღამეს ზურამ დამირეკა, ძალიან მომენატრა ბავშვი და არ დააძინო, 11-ზე მოვალო. 12 ის 15-20 წუთზე მოვიდა. ლიფტთან მეზობელი შემხვდა და ამიტომ დავაგვიანეო. შევიდა ბავშვთან, ორივე გაიზარდაო. ამ დროს ვიღაცამ დაურეკა. ოფიციალური ტონით ესაუბრა, არა ისე, როგორც მეგობარს... ვიფიქრე ჩაის ლიმნით მაინც დავალევინებ-თქო, უშაქროს. მითხრა, დედა ხომ იცი, სამი დღეა გიორგაძის დიეტაზე ვარ და შვიდის მერე არაფერს ვჭამო. მერე თქვა, რომ ეჩქარებოდა.

— ხომ არ იცით, ვინ დაურეკა მაშინ ტელეფონზე?

— არ ვიცი, მაგრამ მგონი, გამოძიებამ დაადგინა, რომ ადეიშვილი იყო.....

— როდესაც დაგემშვიდობათ, როგორ ხასიათზე იყო?

— არაჩვეულებრივზე, რადგან ბავშვთან თამაშობდა.

— რატომ ფიქრობთ, რომ ეს არ იყო მეგობარი?’

— მეგობრებს სხვანაირად ესაუბრებოდა. როგორც ძაძამიას ნათქვამიდან გავიგე, მას შემდეგ, რაც ჩემგან წავიდა, გოთუას

ქუჩაზე ძაძამიას მანქანაში გადაჯდა. შემდეგ სუპერმარკეტში პროდუქტების საყიდლად წავიდნენ. ზურა ჩვენც გვიკრძალავდა სოსისისა და მოხარშული ძეხვის ჭამას, სოსისს არ მიირთმევდა. თვლიდა, რომ უხარისხო იყო...

— რომელ სასმელს მიირთმევდა?

— ალკოჰოლიდან ცოტა კონიაკს სვამდა, მაგრამ უბრალოს არა. როდესაც სახლში მოდიოდა, ჯერ ხატებთან ლოცულობდა, მერე ოჯახის წევრებს ნახულობდა. თუ უკვე ეძინათ, გადაკოცნიდა მძინარეებს. მერე ადიოდა ჭიქა კონიაკით თავის ოთახში და იქ მუშაობდა. ზურა ძალიან ნაკითხი და განათლებული ადამიანი იყო.

— რამდენად მორწმუნე ადამიანი იყო?

— ძალიან. შვილების ლოცვა რომ არის, იჩოქებოდა და ისე ლოცულობდა, ქუჩაშიც კი. ვიცოდი, რომ ეს მერაბიშვილის დაანონსებული სცენარი იყო. რეჟისორი ვინ არის, არ ვიცი... რომც იყოს, იქ პირველი რასაც გააკეთებდა, ფანჯარას გააღებდა და ოდნავ ღიას დატოვებდა. ეს იყო მისი ცხოვრების წესი. ვისაც გინდათ, ჰკითხეთ, პარლამენტარებს ან ვინმეს. ყველა დაგიდასტურებთ... ექსპერტმა რომ თქვა, ზურას მუცელში ძეხვი იყოო, ესე იგი რეჟისორმა არ იცოდა ზურას თვისებები... დახურულ ფანჯარაში ზურა არასოდეს გაჩერდებოდა. სამი დღე დიეტაზე იყო და 7-ის მერე არაფერს ჭამდა... იმას, რაც მაგიდაზე იდო, პირში არ ჩაიდებდა. დაცვის წევრები ყველაფერს იტყუებიან. ხარშილაძემ თქვა, ოთახში რომ შევედით, გაზის სუნი იყო და გამათბობელი შიშინებდაო. ტყუილია, რადგან სამის ნახევრის შემდეგ გაზი იქ აღარ იყო. ზურა რომ მოკლეს, თავიდანვე ვიცოდი. ჯერ ერთი, ამერიკელების დასკვნაში მურის ნატამალიც არ იყო. ეს ნიშნავს, რომ ან გამათბობელი არ ჩართულა, ან კარგად მუშაობდა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ის ჯიხური გატეხილი იყო და რეგულატორი მოშვებული. ამერიკელების გრაფიკებიდან ჩანს, რომ CO-ს რაოდენობა ოთახში 2-ჯერ ნალები იყო. ერთ-ერთ ქიმიის სახელმძღვანელოში წერია, რომ არსებობს ნივთიერება, რომელსაც, როდესაც ორგანიზმში შეიყვან, ისეთ შედეგს აძლევს, როგორსაც CO-თი მოწამვლა....

— თქვენ თუ იცნობდით რაულს?

— მის შესახებ არაფერი გამიგია.

— როდესაც ზურა ბოლოს ნახეთ, თავზე რაიმე ცხიმგროვა ჰქონდა?

— ექსპერტიზის დროს გამოჩნდა, რომ თავზე ჰქონდა კოპი და სისხლჩაქცევები. ესე იგი რაღაც მძიმე ჩაარტყეს. ქვედა ტუჩი გახეთქილი ჰქონდა. შიგნიდანაც გახეთქილი იყო. ექსპერტმა თქვა, რომ შეუძლებელი იყო ასეთი დაზიანება სიკვდილის მერე განვითარებულიყო... მინდა ვთქვა, რომ აქ ბევრი ტყუილია. ძაძამიამ თქვა, რომ პროდუქტები სააკაძის მოედანზე იყიდა. მერე გოგლამ დაადგინა, რომ ის სუპერმარკეტი 10 საათზე იკეტებოდა. ზურა კი ჩემგან 12-ზე წავიდა. მერე თქვა, რომ პროდუქტები კუტუზოვის და საბურთალოს ქუჩის კუთხეში იყიდა. პატივცემულო მოსამართლე და ნაფიცო მსაჯულებო, მადლობას მოგახსენებთ, რომ საშუალება მომეცით გამოვთქვა ყველაფერი, რაც ზურას თავს მოხდა. მიუხედავად ამდენი ინფორმაციისა, ობიექტურად შეაფასებთ მომხდარს.

დაცვის მხარეს, რიმა ჟვანიასთვის, მოწმის ასაკიდან და სტატუსიდან გამომდინარე, შეკითხვა არ დაუსვამს. სასამართლო დარბაზში რაულ უსუპოვის მამა, იაშარ უსუპოვი გამოიძახეს.

— რაული 1979 წელს დაიბადა. როცა მოკლეს, 25 წლის იყო. ჰყავდა მეუღლე და ორი წლის შვილი. დაღუპვამდე 15 დღით ადრე ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილედ დანიშნეს. 1 თვის ხელფასიც არ ჰქონდა აღებული. მესამე კურსის სტუდენტი იყო, როცა ჟვანიას სიღნაღის გამგებლისთვის დაურეკავს, აქტიური და წარმატებული სტუდენტი შეარჩიე, რომელმაც ქართული და აზერბაიჯანული იცისო. ლექტორმა გამგებელს რაული იმიტომ შესთავაზა, რომ კარგად იცნობდა ქვემო ქართლის მოსახლეობას.

პროკურორი: რთული იქნება მოყოლა, მაგრამ გაიხსენეთ ის დღე, როცა შეიტყვეთ რაულის გარდაცვალების შესახებ?

— იმ საღამოს სოფელში მეუღლე და შვილი ჩამოიყვანა. შემდეგ ჩაიცვა სუფთა შარვალი, გაწმენდილი ფეხსაცმელი და წავიდა. მეორე დილით მირეკავენ, შენი შვილი და ჟვანია გაზით გაიგუდნენო. არ ვიცი, ეს დამთხვევა იყო თუ სპეციალურად გაკეთდა, მაგრამ იმ დღეს სოფელში დენი იყო გათიშული და ინფორმაცია ამის შესახებ ვერ მოვისმინეთ. ვურეკავ მის მეგობრებს, ისინი მიდასტურებენ ინფორმაციას. მაშინვე რესპუბლიკურ საავადმყოფოში წავედით, სადაც გაკვეთა მიმდინარეობდა. შიგნით არ გვიშვებდნენ. ამის შემდეგ უკვე ვიწყებთ გამოძიებას. ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ რაული საღამოთი ბრუნდება თავის საცხოვრებელ სახლთან ვარკეთილში....

— გამოკითხვები რომ დაიწყეთ, ვის ჰკითხეთ?

— რაულის მეგობრებმა თქვეს, გვერდითა სადარბაზოში მესამე სართულზე სუფრა ყოფილა გაშლილი. სუფრასთან რომ დამჯდარა, ცოტა ხანში ტელეფონს დაურეკავს. გასულა აივანზე და ჩვენთვის უცნობ პიროვნებასთან ულაპარაკია. მერე უთქვამს, მაპატიეთ, უნდა დაგტოვოთ, შეხვედრაზე მივდივარო. ვარკეთილის მესამე მასივის მეოთხე კვარტლიდან რომ წამოვიდა, დაახლოებით 10-11 საათი იყო.

— რა მანქანა ჰყავდა რაულს და სად ჰქონდა გაჩერებული, საბურთალოს №53-ში?

— რაულს „მერსედესი E250“ მარკის მანქანა ჰყავდა. საინტერესოა, რომ მანქანა კორპუსის მეორე თავში მოშორებით იყო გაჩერებული. რატომ გაჩერდა მანქანა იქ? თუ რაული გააჩერებდა, ბინასთან ახლოს, თუნდაც იმიტომ, რომ ბინას ძაძამია იცავდა. მანქანა ძლივს ვიცანით, ისე იყო გაჭუჭყიანებული. 2 თებერვალს წვიმა კი იყო, მაგრამ ასე არ დაისვრებოდა.

— რაულის ტანსაცმელი თუ ნახეთ და როდის?

— დავათვალიერე რაულის ტანსაცმელი, ფეხსაცმელიც და „საროჩკაც“... 2-ში დილით ახალი, დაუთოებული „საროჩკა“ ჩაიცვა. ის საროჩკა კი არის ჭუჭყიანი, მოკლე და განიერი. შარვალიც ჭუჭყიანი იყო. ადამიანი გაზით რომ იგუდება, შარვალი ესვრება?

— თქვენი ინფორმაციით, გაუკეთდა თუ არა რაულს ბალზამირება?

— რაულს ბალზამირება გაკეთებული არ ჰქონდა. აზერბაიჯანელებში ბალზამირება მიღებული არ არის, მით უმეტეს, ზამთარში. იშვიათად, თუ ძალიან ცხელა, შეიძლება ამ გზას მივმართოთ. ასე რომ, ჩვენ არც შემოგვთავაზეს ბალზამირება და არც ჩვენ გაგვიკეთებია. აზერბაიჯანელებში ასეთი წესია, რომ მიცვალებულს ორჯერ ბანენ. გარდაცვალების შემდეგ და დაკრძალვის წინა დღეს. დაკრძალვის შემდეგ მეორე დღეს, მითხრეს, რომ თავზე შავი ლაქები ჰქონდა. ყელზე ჰქონდა ზოლი. ჩვენ ისე ვიყავით დაბნეულები, რომ სურათიც ვერ გადავიღეთ.

— როდესაც სახლში ჩამოასვენეს რაული, მერამდენე დღეს დაკრძალეთ?

— მესამე დღეს. სამში საღამოს ჩამოვასვენეთ. სახლში ერთი დღე იყო. 5-ში დავკრძალეთ.

— თქვით, რომ წესით, ორჯერ ბანთ მიცვალებულს..... ხომ არ გქონიათ მოლებთან საუბარი, ვინც მიიღო მონაწილეობა დაბანაში. როდის შეამჩნიეს ნაჩხვლეტები გულმკერდის არეში, პირველი თუ მეორე დაბანის დროს?

— პირველი დაბანის დროსვე დააფიქსირეს, მაგრამ არ გვითხრეს. რომ ვუსაყვედურე, მითხრეს, გვეგონა, რომ ეს იყო წვეთოვანის შედეგიო. სხვათა შორის, მეც მეგონა, რომ წვეთოვანი დაუდგეს, მაგრამ მეორე-მესამე დღეს მივედი ნაცნობ ექიმებთან და ვიკითხე. მერე ვიფიქრეთ, რომ აქედან, ორგანიზმში შხამი შეიყვანეს.

— რესპუბლიკურში ვინ გახლდათ?

— მეუღლე იქ იყო, ბალზამირება ფასიანი იყო, მაგრამ ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავს. ერთად ვიდექით.

დასასრული მე-6 გვერდზე

ზურაბ ჟვანია

სკანდალური საქმე

სპეციალური რეპორტაჟი სასამართლო პროცესიდან

რა ჩვენება მისცეს მარიამ ჟვანიამ და იაშირ უსუპოვმა და რა რეაქცია ჰქონდა მიხეილ სააკაშვილს, როდესაც ზურაბ ჟვანიას სიკვდილის ამბავი შეიტყო

მე-5 გვერდიდან

— გქონდათ მცდელობა, დაგეთვალიერებინათ გვამი?

— მე არ დამითვალიერებია. არ მქონდა იმის გული, ვცდილობდი, ოთახშიც არ შევსულიყავი.

დაკითხვაში დაცვის მხარე ერთვება. ადვოკატი ბასილაია ცდილობს, კითხვები მაქსიმალურად ზედმიწევნით შეარჩიოს.

— ჟვანიას ოჯახმა გადაიხადა ბალზამირების თანხა?

— არ მიკითხავს. გასაგებად მოგახსენებთ, რომ მქონდა სასულიერო პირებთან საუბარი და მითხრეს, რომ რაულს ბალზამირება არ ჰქონდა გაკეთებული.

— რაულიც ხომ ყარაჯალაში იზრდებოდა. სიღნაღის გამგებელს რატომ სთხოვა ზურაბ ჟვანიამ კადრის შერჩევა? ამას როგორ აკავშირებთ?

— ზურაბ ჟვანიას სჭირდებოდა აზერბაიჯანულისა და ქართულის მცოდნე.

— დაცვის წევრებს იცნობდა რაული?

— იცნობდა კობა ხარშილაძეს და მიხეილ ძაძამიას. მეუბნებოდა, რომ ერთად დადიოდნენ ქალებში... არ მითქვამს, რომ მკვლელები არიან, მაგრამ ხელი შეუწყვეს მკვლელობას.

— ხომ არ იცით, ჟვანია უსუპოვს კონსპირაციულ ბინაში თუ შეხვედრია მანამდე?

— არ ვიცი.

— ამბობთ, რომ ორივე მოკლულია, თქვენ რა ვერსია გაქვთ?

— ეს ჩემი საქმე არ არის, გამოძიების საქმეა, მაგრამ მე ჩამოვთვალე ის რეალური ფაქტები, რომლებიც ცხადყოფს, რომ ეს ადამიანები გაზით არ არიან გაგუდულები. პრეტენზიები თავიდანვე გვქონდა. მე მხოლოდ შარშან ვნახე ამერიკიდან დაბრუნებული დაკუჭული ტანსაცმელი.

— ექსპერტიზაზე გაგზავნილი ტანსაცმელი რომ დაკუჭული იყო, გაგიკვირდათ?

— „საროჩკის“ საყელოზე იყო ჭუჭყი.

— მოისმინეთ განსასჯელების ინფორმაცია, რომ გვამი გაიტანეს და შემოიტანეს?

— დიახ, მოვისმინე.....

— გამორიცხავთ, რომ ამ დროს დასვროდა?

პროკურორი: ახლა რას ამბობთ, ამ დროს უსუპოვს მარტო საყელო და შარვალი დაესვრებოდა?

მოწმე: მე გასაგებად ვამბობ, რომ „საროჩკა“ იყო მოკლე და დიდი ზომის. იმ კადრებში, რაც აცვია, რაულის ტანსაცმელი არ არის.

— თქვით, რომ რაულს მეუღლე ჰყავდა. თანაც თქვით, ქალებში დადიოდაო. ანუ, მეუღლეს ღალატობდა და არც მალავდა?

— მე მგონი, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ახლა ამ თემაზე საუბარი ბევრს არაფერს ნიშნავს. ვინ იტყვის, მეუღლეს ვღალატობო....

— იქნებ რამის დასამალად გეუბნებოდათ, ქალებში დავდივარო?

— რაული ჩემგან არაფერს მალავდა.

— ეჭვები მკვლელობასთან დაკავშირებით მეუღლესაც ჰქონდა?

— რა თქმა უნდა, მაგრამ მარტო მეუღლეს კი არა, საქართველოში მცხოვრები ყველა მოაზროვნე ადამიანი ფიქრობს, რომ რაული და ზურაბ ჟვანია მოკლეს. ისინი კარგად ასხვავებენ შავსა და თეთრს. ასე რომ, ვერავის ვერავინ მოატყუებს. საქართველოში სხვანაირი ადამიანები ცხოვრობენ. შემოვევლე მათ.

პროცესზე მიხეილ სააკაშვილის დაცვის უფროსი ალექსანდრე მახარაძეც დაკითხეს. მახარაძე სწორედ ის ადამიანია, ვისაც ხარშილაძემ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ დაურეკა. მას პრეზიდენტთან სურდა საუბარი. როგორც დაცვის ყოფილმა უფროსმა გაიხსენა, ახალი ამბის გაგონებაზე სააკაშვილს განსაკუთრებული რეაქცია არ ჰქონია, რამაც, ცოტა არ იყოს, გააკვირვა: „ტელეფონი რომ დამიბრუნა, მომიტრიალდა და მითხრა, კარგი ტელეფონი გაქვსო“. დაცვის მხარემ მახარაძეს ისიც კი ჰკითხა, პრეზიდენტს 2005 წლის 2 თებერვალს საფერფლე ხომ არ დაჰქონდა, რაზედაც მან უარყოფითი პასუხი გასცა.

5 აგვისტოს პროცესზე ექსპერტი მიხეილ ქანთარია დაკითხეს. ის გარდაცვლილების გაკვეთისას ვიდეოგადაღებას აწარმოებდა. ქანთარიას განმარტებით, მას, გადაღების შემდეგ, ფირები აღარ უნახავს.

6 აგვისტოს, სამოქალაქო სასამართლოში სამი მოწმე დაიკითხა, დაცვის მხარის წარმომადგენლები, მიხეილ ძაძამიას მეგობარი მანუჩარ ჭანკვეტაძე, ჟვანიას პირადი დაცვის წევრი ალექსანდრე გოგოხია და დაცვის მძღოლი პაატა მუჯიშვილი. ნაფიცი მსაჯულების ყურადღება გოგოხიამ მიიქცია.

გოგოხია დარბაზში თავდაჯერებული შემოვიდა. მის დანახვაზე ხარშილაძე ფეხზე წამოდგა და კმაყოფილი სახით გაუღიმა. გოგოხიამ დაადასტურა, რომ ხარშილაძესთან რამდენიმეწლიანი მეგობრობა აკავშირებს. მისი განმარტებით, თანამდებობაზე რეკომენდაცია მთავრობის მაშინდელი მეთაურის ძმამ, გოგლა ჟვანიამ გაუწია. 2005 წლის 2 თებერვალს სწორედ მისი მანქანიდან გადაჯდა ჟვანია ძაძამიას მანქანაში. შეკითხვაზე, გამოავლინეს თუ არა პრემიერის გარდაცვალების დღეს ხარშილაძემ და ძაძამიამ სამსახურეობრივი გულგრილობა, მან უარყოფითი პასუხი გასცა. თქვა, ისინი უდანაშაულოები არიან, უბედური შემთხვევისგან დაზღვეული არავინ არისო: **„პირად მცველს დაცვის ობიექტის არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ მისი მორალური დაცვა, მისი იმიჯის შენახვაც ევალება. თეორიულად, პრემიერი არ არის შენი უფროსი, მაგრამ რეალურად ასე გამოდის. მაქსიმალური დაცვა არ არსებობს და ჯერჯერობით, არც ყოფილა. დაცვა ობიექტს მხოლოდ 30%-ით იცავს“.**

გოგოხიამ ისიც განაცხადა, რომ დაცვის წევრები ხშირად ემორჩილებოდნენ პრემიერის გადაწყვეტილებებს, დაეტოვებინათ მარტო, მაგალითად კი, ის შემთხვევა მოიყვანა, როცა ჟვანიამ მისთვის და პრეზიდენტისთვის კახეთში რესტორნის დაჯავშნა ითხოვა. გოგოხიას განმარტებით, ეს სარისკო მართლაც იყო, მით უმეტეს, ამ შეხვედრის შესახებ მის გარდა არავინ იცოდა, თუმცა დაცვის თანამშრომელი პრემიერს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა.

მოწმემ, დაცვის მხარის მოთხოვნით, 2005 წლის 2 თებერვალი გაიხსენა:

— იმ საღამოს გამათავისუფლეს. ვინ მითხრა ეს, კობამ თუ დაღელაშვილმა, ზუსტად არ მახსოვს. ასეთი რამ კვირაში ერთხელ ან ორჯერ ხდებოდა. ყოველდღე ვმუშაობდი და დასვენების შესაძლებლობა რომ მქონოდა, საღამოს საათებში მიშვებდნენ. იმ საღამოს ცრუ გადაადგილება უნდა ყოფილიყო და ბატონი ზურა ცალკე უნდა წასულიყო. დაღელაშვილს უნდა წაეყვანა, მაგრამ მექანიკის ტარება არ იცოდა. მითხრა, საღამოს 5-წუთიანი გადაადგილება შენ გააკეთეო. ჩვენი სმენა იმ დღეს მცხეთაში, რესტორანში იყო. კობაც გათავისუფლებული იყო. ანუ დაცვითი ღონისძიებები დაღელაშვილს უნდა შეესრულებინა. მე და კობამ გადავწყვიტეთ მცხეთაში წასვლა. არ მახსოვს, იქ რამდენი ხანი ვიყავით. მე არ ვსვამდი, რადგან საღამოს ჟვანია უნდა გადამეადგილებინა, კობამ დალია. ალბათ 9 საათისკენ წამოვედით. გზაში კობა ცუდად გახდა. სახლში მივიყვანე და მეც სახლში წავედი. შარვალი გამოვიცვალე. დაახლოებით ნახევარ საათში შარტავაზე წავედი. ბატონი პრემიერი დედასთან იყო. იქ სრული ესკორტი დამხვდა. იყო ის მანქანაც, რომლითაც პრემიერი უნდა გადამეადგილებინა.

— საეჭვო რამე ხომ არ შეგიმჩნევიათ?

— საეჭვო არაფერი. ზურაბი გამოვიდა, ჩაჯდა მანქანაში, დავიძარით წყნეთისკენ. მანქანაში მე და ბატონი ზურა ვისხედით. კარგ ხასიათზე იყო, მეხუმრებოდა. ეს დაახლოებით 11 საათის შემდეგ მოხდა. გოთუას ქუჩაზე პრემიერი ძაძამიას მანქანაში უნდა გადამჯდარიყო.

— გოთუაზე რომ უნდა მიგეყვანათ, ვინ გითხრათ?

— თუ არ ვცდები, ძაძამიამ, თუმცა იქ ყველა საქმის კურსში იყო.

— ძაძამიას სად უნდა წაეყვანა, იცოდით?

— არა, სააკაძის მოედნამდე გავყევი, საეჭვო არაფერი იყო. გაკეთდა ცრუ ესკორტი და წავედი კანცელარიისკენ, ისინი კი საბურთალოს ქუჩის მიმართულებით დაიძრნენ.

— ცრუ ესკორტი ხშირად კეთდებოდა?

— კვირაში ერთხელ, ზოგჯერ ორჯერაც.

— იცოდით, ვის ხვდებოდა პრემიერი?

— არ ვიცოდი, უბრალოდ ვფიქრობდი, რომ ვიღაც ქალს ხვდებოდა. ვის ხვდებოდა, ალბათ მან იცოდა, ვისაც შეხვედრებზე მიჰყავდა.

— კონსპირაციული ბინების შესახებ თუ იცოდით?

— არა.

— ჟვანიას გარდაცვალების შესახებ როდის შეიტყვეთ?

— კანცელარიაში დაგვირეკეს, გვითხრეს, საბურთალოს 53-ში მოდით სასწრაფოდო. იქ ცვლის უფროსი სიხარულიძე დამხვდა. მითხრა, პრემიერი და კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალაო. პირველი, რაც ვკითხე, რომელი ქალია-თქო. ქალი კი არა, კაცია, რაულ უსუპოვიო.

— იცნობდით მას?

— კი, მოდიოდა ხოლმე პრემიერთან.

დაცვის მხარემ სასამართლო პროცესზე გოგოხიას რამდენიმე ისეთი კითხვა დაუსვა, რაზეც მას პასუხი არ ჰქონდა. მაგალითად, კონკრეტულად, რა დროს მივიდა პრემიერთან და როდის გააკეთეს დაცვის თანამშრომლებმა ცრუ ესკორტი. პროკურორი: ხარშილაძემ რესტორანში იმიტომ ხომ არ დალია, რომ რაღაცას განიცდიდა ან რაიმეზე შფოთავდა?

— ეს იყო ჩვეულებრივი დღე, ხარშილაძისთვის საეჭვო არაფერი შემინიშნავს... მას თვალდახუჭული ვენდობოდი, რადგან კარგი ადამიანი, პროფესიონალია, რომელსაც ჟვანიას გარდაცვალებაში ბრალი არ მიუძღვის.

— რატომ წახვედით პრემიერის გადაადგილების შემდეგ კანცელარიაში და არა სახლში?

— პრემიერი უკანა გზაზეც უნდა წამომეყვანა. ან იმ ადგილზე უნდა მივსულიყავი, სადაც გადავსვი, ან მეტყოდნენ კონკრეტულ ადგილს და იქ უნდა მივსულიყავი. ძაძამიას ზარს დაახლოებით 2 საათში ველოდებოდი.

— რომ არ დაგირეკათ, რა რეაქცია გქონდათ?

— ორი საათი სავარაუდო დრო იყო. ძაძამიამ რა იცოდა, პრემიერი იქიდან ორ საათში გამოვიდოდა თუ 5-ში.

ნაფიცი მსაჯულები: რა რეაქცია გქონდათ, როცა გაიგეთ, რომ პრემიერი მისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში გარდაიცვალა, თან ქალთან კი არა, მამაკაცთან ერთად?

— ეს ჩემთვის შოკი იყო, რადგან პირველი კითხვა, რომელიც დავსვი, იყო ის, რომელი ქალი იყო-თქო. მითხრეს, ქალი კი არა, კაცი იყო, რაულ უსუპოვიო. რეაქცია ცუდი მქონდა. გავშრი, წყალს რომ გადაგასხამენ, ასეთი შეგრძნება მქონდა.

— დარწმუნებული ხართ, რომ პრემიერი CO-თი დაიღუპა?

— კომპეტენტური არ ვარ, თუმცა სრული აბსურდია ის ვერსიები, რომლებიც ვრცელდებოდა, თითქოს საიდანღაც მოიყვანეს, მერე რაღაც ჩაარტყეს...

— შემთხვევის ადგილზე რომ მიხვედით, არ გიკითხავთ, რით გარდაიცვალა?

— ეს მე ჩემი დაცვის თანამშრომელმა მითხრა, რომელიც რესტორანში იყო. ის პასუხს ვერანაირად გამცემდა. უბრალოდ ჩემზე ადრე მივიდა. ზურაბ ჟვანია ჩვენთვის იყო არა როგორც დასაცავი პირი იყო, არამედ როგორც ახლობელი. ყველამ განვიცადეთ ეს ამბავი.

— თქვენთვის მხოლოდ 2005 წელს გახდა ცნობილი რომ ჟვანიას კონსპირაციული ბინები ჰქონდა?

— არა, მე მანამდე არც ერთი ბინა არ მინახავს და არც მისამართი ვიცოდი.

— ძაძამიას რომ ცოცხალი პრემიერისთვის მიესწრო, როგორ ფიქრობთ, ხარშილაძისა და ძაძამიას პასუხისმგებლობა მაინც დადგებოდა?

— რა თქმა უნდა, არ დადგებოდა. ზურა არ დაუშვებდა ამას.

— როგორ ფიქრობთ, ბრალდებულები ან თუნდაც თქვენ, ხომ არ იყავით ჟვანიასთვის საშუალება, რომ სამართლებრივი ჩარჩოებიდან გამოსულიყო და არ დამორჩილებოდა ინსტრუქტაჟის წესებს?

— ჩვენ ვასრულებდით მის დავალებას და წინააღმდეგობა არ გამოდიოდა. ის იყო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. მეორე კაცი ქვეყანაში.

დანარჩენი ორი მოწმის დაკითხვა რამდენიმე წუთი გაგრძელდა. ჭანკვეტაძემ განაცხადა, რომ ძაძამია პასუხისმგებლობით აღსავსე ადამიანია და არასოდეს უღალატებდა დაცვის ობიექტს. პროცესი, სავარაუდოდ, მომავალ კვირას დასრულდება. განსასჯელების ადვოკატმა, ტარიელ კიკნაძემ „ვერსიას“ ისიც კი გაუმხილა, რომ პროცესზე გია ბარამიძეს აღარ დაკითხავენ. სასამართლოს კულუარებში ამას ამგვარად ხსნიან: ყველა შეკითხვა, რომლისთვისაც ბარამიძეს უნდა ეპასუხა, უკვე პასუხგაცემულიაო(?!).

შემდეგი პროცესი 7 აგვისტოს, 11 საათზეა ჩანიშნული.

როგორ აფასებენ პროფესიული კოლეჯების დირექტორები მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამას

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

პროფესიული განათლების სისტემაში, ისე როგორც განათლების ყველა სფეროში, ბოლო დროს არაერთი სიახლე დაინერგა. მათ შორისაა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის პილოტირებაც ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო და გაერო-ს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, 7 აგრარული მიმართულების პროგრამა დაინერგა. არც ისე დიდი ხნის წინ კი, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა და აღნიშნული პროგრამების დანერგვის სამართლებრივი საფუძველი შეიქმნა. მიმდინარე წელს გეგმაშია 50-მდე პროგრამის დანერგვა, ხოლო 2017 წლიდან, სისტემა სრულად გადავა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებზე.

„მოდულური სწავლების შეჩერებით, პედაგოგთა უფლებების დამცველმა მასწავლებლები საახალწლოდ ხელფასის გარეშე ისე დატოვა, მათ უფლებებზე არც უფიქრია“

მთავარი სიახლე, რაც მოდულურ პროგრამებს შემოაქვს ესაა სწავლის შედეგებზე ორიენტაცია, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება და სწავლება-შეფასების თანამედროვე მიდგომები. სტუდენტებს, პროფესიის დასაუფლებლად რამდენიმე თეორიული საგნის შესწავლის ნაცვლად, კონკრეტულ პროფესიაზე მორგებული მოდულების გავლა მოუწევთ, რაც ხელს შეუწყობს ისეთ პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ, რომლებსაც დასაქმების მეტი პერსპექტივა ექნებათ.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია - სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ეს სიახლე განათლების სისტემის ზოგიერთმა „კრიტიკოსმა“ დაიწუნა. განსაკუთრებული აქტიურობით კი დენის დავითაშვილი გამოირჩევა, რომელსაც პრინციპში, განათლების სამინისტროს მიერ დაგეგმილი არც ერთი ცვლილება არ მოსწონს. სხვათა შორის, 2014 წელს, სწორედ მისი სარჩელი გახდა საფუძველი, რიგ სასწავლებლებში, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების პილოტირების პროცესი დროებით შეჩერებულიყო. მოგვიანებით, სასამართლომ მისი სარჩელი არ დაკმაყოფილა და როგორც მოგახსენეთ, მიმდინარე წელს 50-მდე მოდულური პროგრამის დანერგვა იგეგმება.

„ვერსია“ დაინტერესდა, როგორ აფასებენ სწავლების ახალ მეთოდს თავად პროფსასწავლებლების ხელმძღვანელები, ისინი, ვინც უშუალოდ ახორციელებს ამ პროგრამებს. „წინსვლა პროფესიული სწავლების სისტემაში“, — ეს ერთი წინადადება მათ საერთო განწყობას ასახავს, თუმცა, ჩვენ კითხვაზე, თუ რატომ ეწინააღმდეგება ექსპერტი სწავლების ამ მეთოდს, ჩვენმა რესპოდენტებმა სხვადასხვა მიზეზებთან ერთად, დავითაშვილის პირად ინტერესებზეც გააკეთეს აქცენტი — თურმე ეს უკანასკნელი შანტაჟით ცდილობს თავის პროფკავშირში პედაგოგების გაწევრიანებას. „ვერსია“ მათ ბლიცინტერვიუებს უცვლელად და უკომენტაროდ გთავაზობთ — დასკვნის გაკეთება კი მკითხველისთვის მიგვინდვია.

ბელა ავალიშვილი, ახალციხის პროფესიული კოლეჯის, „ოპიზარის“ დირექტორი:

— ქალბატონო ბელა, როგორ აფასებთ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამას?

— მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები პირველ რიგში ორიენტირებულია იმაზე, რომ სტუდენტმა რაც შეიძლება სრულფასოვანი ცოდნა მიიღოს. ეს დადებითი მოვლენაა. ჩვენმა კოლეჯმა გაიარა პილოტირება გაერო-ს განვითარების პროგრამის დაფინანსებით, მონიტორინგს კი, განათლების სამინისტრო გვიწევდა.

— პილოტირების დროს გამოიკვეთა, რომ სწავლების ამ მეთოდის დანერგვა სასურველია?

— სასურველი კი არა, აუცილებელია. პილოტირების დროს 3-3 მოდული გავიარეთ ვეტერინარიასა და ფერმერში. ამის შემდეგ, სრული მოდულების პილოტირებისთვის, გეგმები დავსახეთ. გამოიკვეთა, რა უნდა გავაკეთოთ თუნდაც გადაადგილების, კრედიტების დამატება-მოკლების თვალსაზრისით. ამის შემდეგ, რამდენიმე მოდული დავამატეთ კიდეც. მაგალითად, ვეტერინარიაში — ქიმია და ფერმერში — გამოყენებითი მათემატიკა. პილოტირების პროცესში ჩიხში არ შევსულვართ. ვიცოდით რა გზით წავსულიყავით. პარალელურად, მომზადდა გეგმა და გზამკვლევები. ამის შემდეგ, განათლების სამინისტრომ გააკეთა ანალიზი და ნათელი გახდა, რომ კოლეჯებში, ამ მიდგომის დანერგვა, აუცილებელია.

— ეს მიდგომა, ასეთ განსაკუთრებულს რას აძლევს სტუდენტს პროფესიული თვალსაზრისით?

— სტუდენტი სწავლობს მანამ, სანამ არ ისწავლის უმაღლეს დონეზე. ეს არის სწავლება პრინციპით — ისწავლა ან არ ისწავლა. ვეტერინარიის მაგალითზე უკეთ აგიხსნით. მაგალითად, თუ სტუდენტის მიერ აღებული პირუტყვის, ან ცხოველის სისხლი ანალიზისთვის გამოსადეგია, ესე იგი ის ამ საქმეში უკვე დახელოვნებულია. თუ სისხლი ანალიზისთვის არ გამოდგა, რაღაც ვერ უსწავლია. ვიდრე არ ისწავლის, მანამ სხვა მოდულზე ვერ გადავა. თეორიაზე პირდაპირაა მიბმული პრაქტიკა, რაც უმნიშვნელოვანესია.

— ამგვარად არ ფიქრობს ზოგი ექსპერტი, მაგალითად დენის დავითაშვილი, რომელიც ამ პროგრამას ეწინააღმდეგება.

— ის უბრალოდ პროცედურებზე, ვადებზე ლაპარაკობს. პირად საუბარში მითხრა, არ მოესწრებაო, სხვა არგუმენტი არ ჰქონდა. ვერც ერთი ადამიანი, ვინც იცნობს პროფესიული განათლების სისტემას, ვერ იტყვის, რომ მოდულური სწავლების პროგრამა არ ვარგა. ეს პროგრამები ალაგებს ბევრ რამეს — იქმნება ბაზა, რომელიც საჭიროა პრაქტიკული და თეორიული სწავლებისთვის. გათვლილია, თითოეულში სტუდენტი რა კომპეტენციას უნდა აკმაყოფილებდეს. ეს მნიშვნელოვანია დასაქმების თვალსაზრისითაც — სასწავლო პრაქტიკის დროს როცა გვქონდა ურთიერთობები დამსაქმებლებთან, უკეთ დავინახეთ მათი საჭიროებები და მათაც უკეთ დაინახეს ჩვენი პოტენციალი. ეს იყო საუკეთესო ურთიერთობა, რაც კი ოდესმე გვქონია მათთან. პილოტირების პროცესშიც ჩვენი სტუდენტი ვეტერინართა ასოციაციამ დაასაქმა, რადგან უკვე თვალნათელია პრაქტიკულად რა შეუძლია ამა თუ იმ ადამიანს. ეს ძალიან კარგია. ბევრი ადამიანი დამსაქმებლებიდანაც მოვიწვიეთ და სტუდენტებს საინტერესო ტრენინგები ჩაუტარეს. ასე რომ, თუ ადამიანს რაღაც სხვა ინტერესი არ აქვს, ამ პროგრამას ვერ შეეწინააღმდეგება.

— რა ინტერესების გამო შეიძლება ექსპერტი ამ პროგრამას შეეწინააღმდეგოს?

— შეიძლება ვიღაცას უნდა მხოლოდ მუდმივმა მასწავლებლებმა იმუშაონ კოლეჯებში და კონკრეტულ პროფკავშირშიც შევიდნენ. მოწვეული მასწავლებელი კი, პროფკავშირების ხელმძღვანელებს არ აწყობთ, რადგან ისინი არც მათ გაერთიანებებში შევლენ და არც საწევროს გადაიხდიან. თუმცა, არც ჩემი კოლეჯის პედაგოგები არიან დენის დავითაშვილის პროფკავშირის წევრები. არ ჰქონდათ სურვილი. ჩემი აზრით, პროფკავშირი თავისი წევრების ინტერესებს უნდა იცავდეს და ყველაფერს უნდა აკეთებდეს, რომ მასწავლებლებს მეტი შემოსავალი ჰქონდეთ. დღეს კი ასე არაა. პირიქით, მოდულური სწავლების შეჩერებით, პედაგოგთა უფლებების დამცველმა მასწავლებლები საახალწლოდ ხელფასის გარეშე ის დატოვა, მათ უფლებებზე არც უფიქრია.

— რას გულისხმობთ?

— სასამართლოში სარჩელი შეიტანა და მოდულური პროგრამების პილოტირების პროცესი რიგ სასწავლებელში შეაჩერა. მაშინ, პედაგოგების ავტორიტეტიც შეილახა. ვინც ამ სფეროში არაა ჩახედული, ჩათვალა, რომ ჩვენ რაღაცას ვაშავებდით და ამის უფლება აღარ მოგვცეს. ჩვენი კოლეჯი არ იყო იმ სიაში, სადაც პილოტირების პროცესი შეჩერდა, რადგან ჩვენ გაერო-ს განვითარების პროგრამიდან გვქონდა დაფინანსება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველასთან ერთად გავაპროტესტე ეს ფაქტი. იმედი მაქვს, ამ პროგრამის დანერგვას, ხელს აღარაფერი შეუშლის. თუკი გაერო-ში ჩათვალეს, რომ ეს მეთოდი კარგია, თუკი განათლების სამინისტრომაც დადო დადებითი ანალიზი, თუკი მასწავლებლებსაც მოსწონთ და სტუდენტებსაც, ვერ ვხვდები, როგორ უნდა შეეწინააღმდეგო მას, თუ რაღაც პირადი ინტერესი არ გამოძრავებს.

თინათინ ლოსაბერიძე, ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის, „იბერიას“ დირექტორი: „მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, პროფესიულ განათლების სისტემაში, ნამდვილად დადებითი პროცესი და წინგადადგმული ნაბიჯია. ეს ახალი და თანაც დროული რეფორმაა. ამ პროგრამების სწავლებით, სტუდენტებს ეძლევათ შანსი, უფრო მაღალპროფესიულ დონეზე დაეუფლონ სხვადასხვა პროფესიას და უკეთ მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზება შესაბამის ბაზარზე. პილოტირების პროცესი საინტერესო იყო. დირექციაც, მასწავლებლებიც, სტუდენტებიც, აღფრთოვანებულნი ვიყავით ამ მეთოდით. ეს მიდგომა მნიშვნელოვანია არა მარტო სტუდენტისთვის, არამედ ზოგადად, ქვეყნისთვის. საბედნიეროდ, პროცესი გაგრძელდა და ჩვენი კოლეჯი 5 პროგრამის მოდულებს გაივლის.

— რამდენად არის ეს მიდგომა მნიშვნელოვანი დამსაქმებლისთვის? დენის დავითაშვილი აცხადებს, რომ შესაძლოა, მან არ აიყვანოს სამსახურში კადრი, რომელიც მხოლოდ რამდენიმე მოდულში იქნება დახელოვნებული.

— დამსაქმებლის ინტერესიც გათვალისწინებულია. ვისაც სურვილი ექნება სრულ პროგრამას გაივლის და სრულფასოვან განათლებას მიიღებს. თუმცა, ცალკეული მოდულის სწავლაც მნიშვნელოვანია მათთვის, ვისაც ვიწრო მოდულით აქვს დასაქმების შანსი. ასეთი სტუდენტი, მცირე დროში, 3-4 თვეში აითვისებს პროფესიას და დასაქმდება. ასე რომ, არ მესმის, რატომ ეწინააღმდეგება ამ პროგრამას დავითაშვილი. შეიძლება აქ პიროვნულ ინტერესებთან გვქონდეს საქმე.

— რას გულისხმობთ?

— მას უნდა, რაც შეიძლება მეტი წევრი ჰყავდეს თავის პროფესიულ კავშირში. ის ახდენს ზემოქმედებას. ვისთანაც შეძლო, რაღაც ძალისხმევით, მოახერხა მათი გაწევრიანება. ზოგმა, პირიქით, დატოვა მისი გაერთიანება. თავის დროზე, დენის დავითაშვილის სარჩელის საფუძველზე შეგვიჩერდა პილოტირების პროცესი. მაშინ, პირად საუბარში ვუთხარი კიდეც, დაგეცადათ, იქნებ როგორ შედეგს ვაჩვენებდით-თქო. მას არც ერთ კოლეჯში, ერთხელაც კი არ უნახავს როგორ მიმდინარეობდა პროცესი.

— დავითაშვილი აცხადებს, რომ სახელმწიფომ ამ პროგრამის განხორციელებისთვის უმიზნოდ გაიღო ხარჯი.

— ასე არაა. ყველაფერი მოხმარდა მასწავლებელს და სტუდენტს, მაგრამ ბატონმა დენისმა არ მოგვცა საშუალება, შედეგი გვეჩვენებინა. სასიამოვნოა, რომ სასამართლომ მისი სარჩელი არ სცნო და პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროცესის შეჩერება, არამართებულად ჩათვალა. ამითაც ნათელია, რომ დენის დავითაშვილს პირადი ინტერესი ამოძრავებს — რაც შეიძლება მეტი მასწავლებელი გაა-წევრიანოს პროფკავშირში.

— პირადად თქვენთან ჰქონია ამ თემაზე საუბარი?

— დიახ. მითხრა, დირექტორი ხარ, რასაც ეტყვი კოლექტივს, ისე მოიქცევიან და ისინი უნდა გაერთიანდნენ ჩვენი პროფკავშირის რიგებშიო. მოვუწყვე კიდეც თანამშრომლებთან შეხვედრა, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ვიცოდი პედაგოგების მოსაზრება — ისინი კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ, გაერთიანებულიყვნენ მის პროფკავშირში. რამდენიმე მასწავლებელს, ვინც მის საწინააღმდეგოდ გამოდიოდა, გაუბრაზდა კიდეც და უსიამოვნო შეხლა-შემოხლაც გაიმართა. მერე შანტაჟსაც კი მიმართა, რათა როგორმე დამერწმუნებინა პედაგოგები.

— შანტაჟი რაში გამოიხატებოდა?

— მეუბნებოდა, საპარლამენტო ქალაქია და თქვენს დეპუტატ სანიკიძეს, ასევე სხვა დეპუტატებს მოგიყვანო. არ ვიცი, რას მიპირებდა. ერთ-ერთ საუბარში ისიც მითხრა, თუ არ გაწევრიანდებით, საფინანსო განიხილავს დირექტორების საკითხსო. ჩემს თანამშრომლებზეც ახდენდა ზეწოლას, მაგრამ მასთან გაწევრიანება არავინ ისურვა.

— რატომ, წესით მასწავლებლებს უნდა სურდეთ ისეთ ორგანიზაციაში გაწევრიანება, რომელიც მათ უფლებებს იცავს?

— რომელი უფლებების დაცვაზე მესაუბრებით, როცა მან სარჩელის შეტანითა და პილოტირების პროცესის შეჩერებით, მასწავლებელთა იმიჯიც შელახა და უფლებებიც? მარტო ეს ფაქტიც საკმარისია, დაენახათ პედაგოგებს, რომ მას მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებს და არ უღირთ საწევროს გადახდა ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც რეალურად, მათთვის არაფერს აკეთებს.

ნათელა პაპუნაშვილი, კაჭრეთის საზოგადოებრივი კოლეჯის, „აისის“ დირექტორი:

„მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების პილოტირება შარშან დავიწყეთ ხუთ სასოფლო-სამეურნეო პროგრამებზე. ძალიან გაამართლა. ახალგაზრდებიც კმაყოფილები დარჩნენ. პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. მოგვიმზადეს პრაქტიკული მეცადინეობის გეგმა, მასწავლებლები გადაამზადეს... ცხოვრება წინ მიდის, იცვლება და დამოკიდებულებაც სასწავლო პროცესის მიმართ უნდა შეიცვალოს. ამ მიდგომას მხარს ვუჭერთ.

— ძველ მეთოდთან შედარებით, მოდულურ სწავლებას რა უპირატესობა აქვს?

— მასწავლებლები გადამზადდნენ თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. სტუდენტებში ინერგება თანამედროვე მოთხოვნების პროფესიული ცოდნა. პროგრამები დგება საინტერესოდ და მიზანმიმართულად. ეს წინსვლაა პროფესიულ განათლებაში. ხომ არ შეიძლება, ცხოვრება წინ მიდიოდეს და ჩვენ უკან მივჩანჩალებდეთ? უფრო პროფესიონალ კადრებს გამოვუშვებთ და მათ დასაქმებაც გაუადვილდებათ. პილოტირების პროცესშივე, იმდენად განვითარდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იმდენად გათვლილია, როგორ უნდა შეისწავლოს სტუდენტმა ესა თუ ის პროფესია, რომ მსჯელობაც კი არ შეიძლება, ეს მიდგომა კარგია თუ ცუდი — ცხადია, კარგი და აუცილებელია.

— ექსპერტი დენის დავითაშვილი აცხადებს, რომ ამ პროგრამების დასრულების შემდეგ, მხოლოდ ვიწრო სპეციალისტებს მივიღებთ და მათ პირიქით, დასაქმების პრობლემა შეექმნებათ, რადგან დამსაქმებელი მხოლოდ რამდენიმე მოდულში დახელოვნებულ კადრს არ აიყვანს.

— სტუდენტებს იმის საშუალებაც აქვთ, პროგრამას მთლიანად დაეუფლონ. თუმცა, წარმოებაში ვიწრო სპეციალისტები საჭიროა. სჯობს, რამდენიმე მოდული იცოდეს ძალიან კარგად, ვიდრე ყველაფერში ვითომ მომზადდეს და არაპროფესიონალი იყოს, როგორც აქამდე ხდებოდა. მიდგომა არის საქმესთან ახლოს - როგორი კადრიც სჭირდება ქვეყანას, საზოგადოებას, ბაზარს, იმაზეა ორიენტირებული. დენის დავითაშვილი შესაძლებელია ძველ პროგრამებსა და მეთოდიკაში კარგად ერკვეოდა, მაგრამ თუ ამ პროგრამებშიც კარგად ჩაიხედავს, კარგი იქნება. ჩვენ უშუალოდ საქმის ეპიცენტრში ვართ და ვხედავთ, რომ მოდულური პროგრამების დანერგვა აუცილებელია. საცდელი პროგრამები გავიარეთ, ახლა სწავლა ამ მეთოდით მიმდინარეობს, არც მასწავლებელია უკმაყოფილო და არც მოსწავლე. არ მესმის, ვინმე რატომ უნდა შეეწინააღმდეგოს ცვლილებას, როდესაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ორმაგად გაუმჯობესდა, სტუდენტს პრაქტიკულ მუშაობასთან შეხება აქვს და სტუდენტი კვალიფიკაციის შესაბამის დოკუმენტს მიიღებს.

— დენის დავითაშვილის წინააღმდეგობას თქვენი კოლეგები მისი პირადი ინტერესით ხსნიან. ამბობენ, მას პედაგოგების თავის პროფკავშირში „შეტყუება“ უნდაო. თქვენი კოლეჯის მასწავლებლები არიან ამ გაერთიანების წევრები?

— არა. ჩვენ ვიყავით, მაგრამ რადგან ვერ გავარკვიეთ, სად და როგორ ხდებოდა საწევროს შეტანა და არც კონკრეტული არაფერი გაუკეთებიათ პედაგოგებისთვის, მასწავლებლების სურვილით, დავტოვეთ ეს გაერთიანება.

პოლიტიკოსების „გადამგდები“ პატიმრის 15-წლიანი „სროკი“

რაზე „გაუმაზა“ აჭარელმა თალღითმა ზონაზე პატიმრებს ფული და რაფომ გაწირა ოჯახის წევრები

პატიმარი №0578

არ არსებობს პატიმარი, რომელიც თავისუფლებაზე არ ოცნებობს. მათაც კი, ვისაც 20-30 წელი აქვს მისჯილი, იმედი აქვთ, რომ ადრე თუ გვიან, მათ ქუჩაზეც მოვა გაზაფხული, ზონის „რუპორში“ ერთ დღეს ხმამაღლა გამოაცხადებენ მის გვარს და იტყვიან — „მოემზადე გასათავისუფლებლად!“ გაგიკვირდებათ და, მათაც, ვისაც სამუდამო აქვთ, იმედის ნაპერწკალი უკიაფებთ. ერთხელ თქვა ერთმა ასეთმა პატიმარმა, მინისძვრა მიშველის, რომ დაინგრეს აქაურობა, ხომ გავალ „სვაბოდაზეო“. შესაბამისად, პატიმარს სჯერა ყველაფერი, რასაც ეუბნებიან და რაც მის თავისუფლებასთანაა ასოცირებული. ამით ბევრი სარგებლობს, არადა, პატიმრის მოტყუება არ შეიძლება. არ შეიძლება იმიტომ, რომ შურისძიება შეიძლება ძალიან სასტიკი იყოს.

რუსთავის №17 ზონაში ბათუმის ციხიდან სპეცეტაპი მივიდა და ერთადერთი პატიმარი მიიყვანა. იმედა დ. სხვებისგან მხოლოდ ჭარბი წონით გამოირჩეოდა, სხვაგვარად კი, თითქოს ჩვეულებრივი პატიმარი იყო, აჭარულად უქცევდა და არც იუმორთან იყო მწყრალად.

„არ მომწონს ეს იმედა და მომკალით თუ გინდა. ჯერ ვის გაუგონია, ბათუმიდან სპეცეტაპით რუსთავში მოაბრძანონ კაცი? როგორც წესი, ქუთაისში მიჰყავთ, მაქსიმუმ ქსანში. ძალიან შორია რუსთავი აჭარელისთვის და ამას განსაკუთრებული მიზეზი უნდა ჰქონდეს. ქსივა უნდა გავუშვა ბათუმის ციხეზე, რისთვის გამოიქცა ამ სიშორეზე ეს კაცი, უნდა გავიგო“, — თქვა ზონის მაყურებელმა.

„ვკითხე მე. თაღლითობაზე ზის, პოლიტიკოსები გადაუყრია და კი აქვს 15 წელი საყვარლად. ისე, არ ნაღვლობს ამ 15 წელზე, ვადაზე ადრე გამიყვანენო, აცხადებს. არადა, 4 წელი აქვს უკვე თითქმის მოხდილი და ამას ვადაზე ადრე გამსვლელის არაფერი ეტყობა“, — უთხრა მაყურებელს №0578-მა.

„რა? 4 წელი? და მაინც ამხელაა? ანუ იქ სასათბურე პირობები ჰქონდა და აქეთ გამოუწია გულმა? შენც ხომ ხვდები, აქ რაღაც ისე ვერ არის. აჭარიდან ამის გულისთვის აქ არავინ ივლის და რა გამოდის? ისე გაუჭირდა, ახლობლების ნახვაც კი არ უნდა... არა, ბათუმის ციხეზე ქსივა უნდა ვაფრინოთ, მაგრამ იქ წელიწადში ერთხელ თუ წავა აქედან ვინმე და იქიდანაც ასე. მეშვიდე წელია აქ ვარ და მეორე პატიმარი მოიყვანეს ბათუმიდან“, — თავი ჩაღუნა მაყურებელმა.

„და უფრო მარტივად გეტყვი. ბათუმის ზონის მაყურებელს ხომ იცნობ? ჰოდა, იმის ახლობლებს შენი ახლობლები დაეკონტაქტონ, შეხვდნენ ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს იქეთ და უთხარი, იმედა დ. დაახასიათონ. მერე ის ახლობელი შენს ძმას ეტყვის, ძმა პაემანზე მოვა და...“

„და ტელეფონში მეტყვის ხო, ესა და ეს აქვს მიქარულიო? გაგიჟდი შენ?!“ — არ დააცადა მაყურებელმა №0578-ს წინადადების დასრულება.

„ათასჯერ გითხარი და ათასმეერთედ გაგიმეორებ — როცა კაცი ლაპარაკობს, აცადე, ბოლომდე თქვას სათქმელი, რადგან შეიძლება ან ძალიან ჭკვიანური თქვას, ან სისულელე და შენ ორივე გაწყობს. შენი ძმა ამ ყველაფერს ფურცელზე დაწერს, იმ ფურცელს ტყვიაგაუმტარ მინას მოადებს მეორე მხრიდან და წაიკითხავ. ფურცელს კი მოკლევადიან პაემანზე როგორმე შემოიტანს, არ ჩხრეკენ ხომ იცი“, — დაასრულა №0578-მა.

„მეც ათასჯერ გითხარი და ათასმეერთედ გაგიმეორებ — შენი დამჭერის ოხერი დედა ვატირე მე. კარგი აზრია, ორ კვირაში მოყომარდება“, — გაიღიმა მაყურებელმა.

ორი კვირის შემდეგ, მაყურებელს ზონაზე ძმამ მოაკითხა, იქიდან გადმოსული ზონის ნომერპირველი პატიმარი კი აშკარად გაცოფებული იყო.

„იმედა ჩემს კამერაში მოათრიეთ“, — გასძახა პატიმრებს და ისინიც იმედას კამერისკენ დაიძრნენ. ორ წუთში იმედა მაყურებლის წინ იდგა.

„ხელი არ დაარტყა, თუ იქ სერიოზული რამე მიქარა და იმდენი მოახერხა, რომ აქ მოაბრძანეს, საჩივრის დაწერა და შენზე სროკის დამატებაც არ გაუჭირდება“, — ყურში უთხრა მაყურებელს №0578-მა.

„აჭარელი კაცი, ბათუმელი... აქ რატომ წამოხვედი მაინტერესებს. ოჯახი გყოლია იქეთ, და, სიძე, დისშვილები... ძმა, რომელსაც არ ელაპარაკები თურმე. ობლობაში გაზრდილ ბიჭს იქეთ არ გირჩევნია, გამზრდელ დასთან“, — ფრთხილად ჰკითხა მაყურებელმა და ამით მიანიშნა, ბევრი რამ ვიციო.

„კი მირჩევნია, მაგრამ დავიღალე, 4 წელი ერთი და იგივე. ცოტა მრავალფეროვნება მინდოდა და მაგიტომ წამოვედი“, — უხერხულად გაიღიმა იმედამ.

„მერე, მრავალფეროვნებისთვის ჯერ ქუთაისის ციხეზე შეგევლო, მერე ქსანია, მერე ორთაჭალა და მოსულიყავი აქეთ ბოლოს. მე შენ გეტყვი, სროკი არ გაქვს, რომ დაათვალიერო საქართველოს საპყრობილეები თუ შესაძლებლობა? რატომ რუსთავის მეორე, რატომ?!“ — არ მოეშვა მაყურებელი.

„და შენ ვინ გკითხავს, მე სად მოვიხდი სროკს?!“ — თვალები დაქაჩა იმედამ და სანამ მაყურებელი წამოდგებოდა, ხელი №0578-მა მოიქნია და იმედას ლაზათიანი სილა შემოსცხო.

„ასე ელაპარაკე, ლომბარდში კლიენტები რომ მოგივლენ, იმათ. კაცს საქმე აქვს და მოუსმინე“, — შეუტია იმედას. მაყურებელმა №0578-ს გაფართოებული თვალებით შეხედა — არ უთქვამს მისთვის, იმედა აჭარაში ლომბარდს რომ ამუშავებდა.

„კარგი, მოვრჩეთ ამ მასკარადს ახლა. შენ, ბათუმის ციხეზე ყოფნის დროს, ორ ბიჭს, რომლებსაც 25-25 წელი ჰქონდა მისჯილი, დახმარებას დაპირდი ნინო ბურჯანაძის სახელით. აქაოდა, ვიცნობ მაგ ქალს და თითოს ხუთ წელს დაგიტოვებთო. არადა, იცნობ კი არა, ცოცხლად არ გყავს ნანახი ბურჯანაძე და ქალი პოლიტიკოსი მეტი ნდობისთვის აარჩიე. მერე, ამ უბედურებს ფული მიატანინე შენს დასთან და შენს დას უთხარი, ბათუმში სახლი ეყიდა, თავად კი დაჯექი „ვარონკაზე“, სპეცეტაპისთვის დეპარტამენტში ვიღაცას 500 დოლარი გაუმაზე და ზიხარ ახლა აქ საყვარლად, ბათუმის სახლი გაქირავებული გაქვს 400 დოლარად და იმ 400 დოლარს თვიდან თვემდე თქვლეფ. ახლა შენით მითხარი, რისი ღირსი ხარ და გპირდები, არაფერს დაგაკლებ“, — ხმას აუწია მაყურებელმა.

„ჯერ ერთი, არავინ გეკითხებათ აქ რატომ ვარ, მერე მეორე, ჩემი საქმეა, ვიცნობ თუ არა პოლიტიკოსებს და მესამეც, შენ პროკურორი ხარ თუ მაყურებელი, დაკითხვას რომ მიწყობ?!“ — გააპროტესტა იმედამ და ამჯერად №0578-მა ვეღარ მოასწრო — მაყურებელმა ჯერ წიხლი ჩააზილა მუცელში და როცა იმედა ორად მოიკეცა, ისევ წიხლი სახეში ამოარტყა მთელი ძალით და უგონოდ დააგდო.

„ახლა ეს აქ უნდა მოვიყვანოთ აზრზე, თორემ ამის სხვა კამერაში გათრევას რამდენიმე კაცი უნდა და კორიდორში დაყენებული კამერები დაგვწვავს“, — ჩუმად თქვა №0578-მა და იმედას თავზე ჭიქით წყალი დაასხა. აჭარელმა თვალები დააჭყიტა. „გიჩივლებთ, დაგიჭერთ, თქვენ ვიღაცაში ხომ არ გეშლებით“, — ამოიბლუყუნა იმედამ და რამდენიმე კბილიც ამოაყოლა.

„მომისმინე ბიჭო. საქმეს გეუბნები და თუ დამიჯერებ, კარგი იქნება — შენებს შეუთვალე, ფული დააბრუნონ, თორემ იმ ბიჭებს, იქ რომ ზიან, გარეთ მეგობრები დარჩნენ და არ დაგინდობენ. დამიჯერე, არ დაგინდობენ და ზუსტად ვიცი, სულ რაღაც 2-3 კვირას დაგელოდებიან კიდევ“, — უთხრა მაყურებელმა მაგრამ იმედას არაფრის გაგონება არ სურდა.

მეორე დღეს აჭარელი პატიმარი გლდანის ციხეში წაიყვანეს, ასე ისურვაო და დღემდე იქ არის. მოსახდელი კიდევ 2 წელი დარჩა და ისიც იმიტომ, რომ ამჟამინდელმა ხელისუფლებამ სასჯელის მეოთხედი მოუხსნა. რაც შეეხება მისი ოჯახის წევრებს... მისი და, ოთხი შვილის დედა, პატიმრის ახლობლებმა ფულის დაბრუნებაზე ვერ დაითანხმეს და ახლა ინვალიდის ეტლით დადის. სიძე უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა და ზღვაში დაიხრჩო. ერთი ეგ იყო უცნაური, რომ ეს ამბავი იანვარში მოხდა და სამართალდამცავებმა ვერაფრით გაარკვიეს, რატომ შევიდა ის ზამთარში ზღვაში.

ვერსიანიუსი

შსს-მ 66 აბი „ექსტაზი“ ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ფსიქოაქტიური და ფსიქოტროპული ნივთიერებების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს და ამავე დეპარტამენტის აჭარის ა/რ სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1989 წელს დაბადებული ირაკლი ჯ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 66 აბი და დაფხვნილი ნახევარი აბი „ექსტაზი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 4,9479 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება 3,4-მეთილენდიოქსიმეტამფეტამინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით ბრალდებულს ამფეტამინის, მეტამფეტამინის და „ექსტაზის“ მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვის ბრალდებით კახეთის მკვიდრი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1978 წელს დაბადებული კახა ჯ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით თელავის რაიონის სოფელ ართანაში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა კახა კ-მ გვიან ღამით არარეგისტრირებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში რამდენჯერმე გაისროლა. გასროლას მსხვერპლი არ მოჰყოლია. სამართალდამცავებმა, დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ქარხნული წესით დამზადებული, „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის, „ა-კა-74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 12 მასრა ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

საპატრულო პოლიციამ ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი 560 აბი ამოიღო

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, 1963 წელს დაბადებული მუხრან ა. სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 560 აბი სამედიცინო პრეპარატი „აქტიფედი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 33,6 გრ ფსიქოტროპულ ნივთიერება ფსევდოეფედრინს შეიცავს. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 261-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 263-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

MERS — ახალი კორონავირუსი სამხრეთ კორეიდან მსოფლიოს უტევს?

ბიოლოგიური იარაღი თუ კიდევ ერთი გამოწვევა კაცობრიობისთვის

MERS კორონავირუსი სამხრეთ კორეიდან მსოფლიოს უტევს და მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივმა მეცნიერებმა განაცხადეს — დაავადება დაძლეულია და მოსახლეობას საფრთხე აღარ ემუქრებაო, მსოფლიო მედიკოსები განგაშის ზარს რეკენ და აღნიშნავენ, რომ MERS მსოფლიო ცივილიზაციის განადგურების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს. ამას დაერთო რამდენიმე დღის წინ სამხრეთ კორეის ჯანდაცვის მინისტრის გადადგომა. მუნ ხენ პხეს მისამართით არაერთი ბრალდება ისმოდა — ჯანდაცვის სისტემა ამ გამოწვევის წინაშე უძლური აღმოჩნდა და ვერც სამინისტრომ გაატარა ეფექტური ზომებიო, მაგრამ მინისტრი სწორედ მაშინ გადადგა, როცა მედიკოსებმა ვირუსის დამარცხების შესახებ განაცხადეს.

ეს ფაქტი კი, რბილად რომ ვთქვათ, არაერთი ეჭვის საფუძველი შეიძლება გახდეს და სხვათა შორის, შეთქმულების თეორიების მოყვარულთ კიდევ დიდხანს ეყოფათ განსახილველად.

ინგლისური აბრევიატურა MERS — იშიფრება როგორც ახლოაღმოსავლეთის რესპირატორული სინდრომი, რომლის მიმართ ანტიბიოტიკები უძლურია და არც ვაქცინა თუ მკურნალობის მეთოდი არსებობს.

სამხრეთ კორეაში კი ვირუსი მამაკაცმა შეიტანა ახლო აღმოსავლეთიდან. იგი დიდხანს დადიოდა საავადმყოფოდან საავადმყოფოში, სანამ ექიმები საბოლოო დიაგნოზის დასმას შეძლებდნენ, ამასობაში კი, ვირუსმა გავრცელება მოასწრო.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ის აქლემებისგან გავრცელდა, თუმცა ვირუსოლოგები აღნიშნავენ, რომ ეს ცხოველები ვირუსის პირველადი მატარებლები სულაც არ არიან და ბუნებრივი გადამტანი ღამურაა.

და მაინც, რა არის MERS-ის რეალური გამომწვევი — აქლემი თუ ღამურა?! საქმე ისაა, რომ საუდის არაბეთში ცხოველების 90 პროცენტს აქვს ეს შტამი მაშინ, როცა თავად არ არიან დაავადებულნი და მხოლოდ ვირუსის გადამტანები გახლავთ. რაც შეეხება ღამურებს — მათი ნიმუშები თითქმის იდენტურია დაავადებული ადამიანების სისხლის ნიმუშებისა... მაგრამ ამ შემთხვევაში წყარო ნაკლებად მნიშვნელოვანია — მსოფლიო მეცნიერები განგაშის ზარს რეკენ და ეძებენ ეპიდემიის შეჩერების საშუალებას, რომელიც „მსოფლიო ცივილიზაციას განადგურებით ემუქრება“.

სამხრეთ კორეაში ქუჩები ფაქტობრივად დაცარიელებულია და იქაურობა ტურისტებისა თუ ვიზიტორთა ნაკლებობასაც განიცდის, რაც არცაა გასაკვირი იმ ფონზე, რომ ბევრი საჯარო დაწესებულება დაიხურა და სპეციალისტები მოსახლეობას მაქსიმალური სიფრთხილისკენ მოუწოდებენ.

შეშფოთების საფუძველი კი მედიკოსებს ნამდვილად აქვთ — MERS-ის შტამი დაახლოებით ექვსი წლის გაჩნდა და ე.წ. TOPC დაავადებები გამოიწვია, რომელიც ლეტალობის მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება. ისინი სასუნთქი გზების გარდა ფილტვების უჯრედებში შედის, უფრო ღრმად აღწევს ადამიანის ორგანიზმში, აქვს აგრესიული ფორმა და ადვილად უმკლავდება ორგანიზმის თავდაცვით უნარს. სწორედ ამიტომ, სხვადასხვა ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროების წარმომადგენლები არ გამორიცხავენ, რომ კორონავირუსი სამხრეთ კორეიდან მსოფლიოს მოედოს, ამიტომ მოუწოდებენ, ზედმიწევნით გამოიკვლიონ სამხრეთ კორეიდან ნებისმიერი ტურისტისა თუ ვიზიტორის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ამასობაში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ვირუსი მსოფლიოს 23 ქვეყანას შეეხო, მათ შორის იორდანიას, ტუნისს, გერმანიას, იტალიას, საფრანგეთს...

MERS ბევრ რამეში ჰგავს SARS-ს — „უფროს ძმას“, თუმცა მისგან განსხვავებით მხოლოდ ფილტვებს კი არ აზიანებს, თირკმლის უკმარისობასაც იწვევს. რამდენიმე წლის წინ საუდის არაბეთში 400 შემთხვევა დაფიქსირდა და სწორედ მაშინ საავადმყოფოდან 4 ექიმიც კი გაათავისუფლეს, რადგან დაავადების გადადების მაღალი რისკის გამო, მათ უარი თქვეს ინფიცირებულთა მკურნალობაზე. მაშინ რამდენიმე სპეციალიზებული საავადმყოფოც ააშენეს უშუალოდ ამ ვირუსით ინფიცირებულთა სამკურნალოდ, რადგან ადამიანის ორგანიზმი მის მიმართ ვერ გამოიმუშავებს იმუნიტეტს — გამოჯანმრთელებული შესაძლოა კვლავ დაინფიცირდეს!

ასეთ დროს კი, სპეციალისტები განსაკუთრებული რისკის ზონად საავადმყოფოებს ასახელებენ, რადგან ნებისმიერი ვირუსი დაქვეითებული იმუნიტეტის შემთხვევაში ადვილად ერევა ორგანიზმს და ლეტალური გამოსავალიც დგება. ამ ლოგიკით პრობლემა ამა თუ იმ ვირუსის მითოლოგიური უძლეველობა კი არა, იმუნიტეტია, მაგრამ არსებობს ვირუსის გავრცელების კიდევ ერთი, საკმაოდ შემაშფოთებელი ვერსია და პანიკაც სულ უფრო მასშტაბური ხდება, რასაც ბოლო დროს ჩატარებული გამოკითხვაც ადასტურებს — „MERS მსოფლიო შეთქმულების ბიოლოგიური იარაღია“, — მიიჩნევს გამოკითხულთა უმრავლესობა და მას ქათმის გრიპსა და ებოლას ადარებს ამყარებს რა თავის ვერსიას შემდეგი არგუმენტით — რატომ ჩნდება ამდენი უცნაური დაავადება 21-ე საუკუნეში მაშინ, როცა წლების წინ მათზე წარმოდგენაც კი არავის ჰქონდა... ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ვირუსები ბუნებრივი მოვლენაა და არ ღირს მედიკოსთა შესაძლებლობების აღმატებით ხარისხში განხილვა; რესპოდენტთა მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ ეს ვირუსები სამეცნიერო მიღწევების შედეგია, რომელიც კონტროლს აღარ ექვემდებარება და ჩვენვე შემოგვიბრუნდა ცუდად, ნაწილი კი ფიქრობს, რომ ასე დედამიწა ცდილობს ადამიანებისგან გათავისუფლებას.

და მაინც, რა არის რეალურად ეს — პანდემიის კიდევ ერთი საფრთხე თუ უსაფუძვლო პანიკა? არადა, პანიკა სულ უფრო მასშტაბური ხდება და ამბობენ, ანტივირუსული პრეპარატების გაყიდვით მსოფლიო ფარმაცევტულმა კომპანიებმა უზარმაზარი მოგება ნახესო. ამ თეორიიდან გამომდინარე კი ღირს დაფიქრება — ბუნებაში რომც არ არსებულიყო ეს ვირუსი, მისი გამოგონება ვიღაცებს ნამდვილად უღირდათ ჯერ ერთი იმიტომ, რომ სახელმწიფოსგან კოლოსალური გრანტები მიეღოთ, კაცობრიობის გადასარჩენად ახალი წამლის შესაქმნელად და მეორეც, აქტიურად გაეყიდათ ჩვეულებრივი ანტივირუსული პრეპარატი, როგორც პანაცეა.

გასაკვირი არაა, პრობლემასთან ერთად შეთქმულების თეორიებიც რომ ჩნდება და მათში სიმართლის მარცვალიც უდავოდ არის თუ დავფიქრდებით, რამხელა მოგებას ნახულობენ ფარმაცევტული გიგანტები მსგავსი „საფრთხობელის“ შექმნით და შემდეგ ვითომ მკურნალობით, თუმცა ვირუსოლოგთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ არანაირი შეთქმულება არ არსებობს და მსგავსი ინფექციური დაავადებების გამომწვევი — ყველაზე სწრაფად ცვალებადი ბუნებრივი სუბსტანციაა მსოფლიოში, ამიტომ, როცა ქრება ზოგი ვირუსი, მის ნაცვლად ახალი ჩნდება...

არსებულ ვითარებაში სადაა ზღვარი სიმართლესა და ილუზიას შორის, ამის გარკვევა ადვილი არ არის, მსოფლიო ცივილიზაციას კი მოუწევს კიდევ არაერთ გამოწვევას უპასუხოს მანამ, სანამ წამლის მწარმოებელი გიგანტური კომპანიები ადამიანთა ჯანმრთელობის ხარჯზე საკუთარი ჯიბის გასქელებას არ შეეშვებიან.

ვერსიანიუსი

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ეპიდაფეთქების მიზეზი ნოროვირუსი გახდა

ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, დაავადება შესაძლებელია ნებისმიერი გზით, მათ შორის, წყლითა და საკვებით, ასევე საყოფაცხოვრებო კონტაქტითაც გავრცელდეს.

ყვარლის შემდეგ მოწამლული პაციენტები თელავის რეფერალურ საავადმყოფოშიც შეიყვანეს. ამ დროისთვის დაწესებულებაში ორი ასაკოვანი ქალბატონი და ერთი 5 წლის გოგონაა მოთავსებული.

საავადმყოფოს მენეჯერის, ზაზა კოპლატაძის ინფორმაციით, ყველა მათგანს ერთიდაიგივე სიმპტომები აღენიშნება და ისინი მკურნალობის შესაბამის კურსს გადიან.

5 აგვისტოს, ღამით, ყვარლის საავადმყოფოს მოწამვლის სიმპტომებით 30-ზე მეტმა პაციენტმა მიმართა. 6 აგვისტოს, მიმართვიანობამ 85-ს მიაღწია, თუმცა, კლინიკაში ამ დროისთვის 32 პაციენტი რჩება.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ, პირველადი შედეგით, წყლით მოწამვლის ვერსია გამორიცხა, თუმცა მიკრობიოლოგიური შედეგის პასუხი 24 საათში გახდება ცნობილი.

„პირველი“

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი ორ დღით ე.წ. საზღვრებს კეტავს

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი, 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებული სამგლოვიარო დღეების გამო, ე.წ. საზღვრებს კეტავს.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის კაგებეს ცნობით, საქართველოსთან ე.წ. საზღვარი 7 და 8 აგვისტოს იქნება ჩაკეტილი, მოსახლეობის უსაფრთხოებას კი, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. შსს გამკაცრებულ რეჟიმში დაიცავს.

არსებული ინფორმაციით, აგვისტოს ომის 7 წლისთავი ცხინვალსა და სხვა რაიონებში 7 და 8 აგვისტოს, სხვადასხვა სამგლოვიარო ღონისძიებით აღინიშნება: **„უსაფრთხოების გაძლიერებულ რეჟიმთან დაკავშირებით, სამგლოვიარო ღონისძიებების ჩატარების პერიოდში, 7 და 8 აგვისტოს, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მოქალაქეების გადასვლა შეწყდება“,** — აცხადებს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. კაგებეს თანამშრომელი ე.წ. საზღვრებზე მოქალაქეების გადაადგილება ჩვეულ რეჟიმში 9 აგვისტოდან აღდგება.

„პირველი“

საქართველოში მიწისძვრა მოხდა



საქართველოში 3.4 მაგნიტუდა სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა.

მიწისძვრის ეპიცენტრი ახალქალაქის დასავლეთით 18 კილომეტრში კურორტ ვარძიასთან ფიქსირდება.

ნგრევისა და დაზიანების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

„პირველი“

„რიო 2016“ — დიდი სპორტული დღესასწაული ბრაზილიის გულში

დილმა რუსეფი: „ბრაზილია სრულად მზადაა ოლიმპიური თამაშებისთვის“

2016 წლის 5 აგვისტოს, ბრაზილიაში, მარაკანას სტადიონზე, „რიო 2016“ ოლიმპიური ცეცხლის ანთებითა და ხუთრგოლიანი დროშის აფრიალებით დაიწყება. ბრაზილიის პრეზიდენტი დილმა რუსეფი აცხადებს, რომ ქვეყანა ოლიმპიური თამაშებისთვის უკვე მზადაა. რა პროექტები განხორციელდა სპეციალურად ამ დღისთვის, როგორ უმასპინძლებს მსოფლიოში მეხუთე უდიდესი სახელმწიფო სპორტის ერთ-ერთ ყველაზე დიდ დღესასწაულს და ბრაზილიაში ჩასულ სტუმრებს? „ვერსიისთვის“ ექსკლუზიურად, ბრაზილიის პრეზიდენტი დილმა რუსეფი, ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით, თავის პოზიციას აფიქსირებს.

ჯერ კიდევ წელიწადი გვაშორებს ოლიმპიადას, თუმცა ბრაზილიის გული უკვე მძლავრად სცემს. ბრაზილიის დიდსულოვანი გული სიხარულით მიესალმება სხვადასხვა ხალხებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან და მზად არის, ენთუზიაზმითა და სამართლიანი ბრძოლით ჩაებას ამ შესანიშნავ სპორტულ ღონისძიებებში. ჩვენ უკვე „ფიფას“ მსოფლიო თასის დროს გავხდით ამის მოწმე. ეს ყველაფერი 2016 წლის 5 აგვისტოს კიდევ ერთხელ განმეორდება მარაკანას სტადიონზე, სადაც ოლიმპიური ცეცხლის ანთებითა და ხუთრგოლიანი დროშის აფრიალებით, კიდევ ერთხელ დავადასტურებთ ჩვენს დიდ სიყვარულს სპორტისადმი.

შემთხვევითი არ არის, რომ ბრაზილიას ერგო პატივი, ყოფილიყო ოლიმპიური თამაშების პირველი სამხრეთამერიკული მასპინძელი ქვეყანა. ბრაზილია მსოფლიოში ცნობილია მისი შთამბეჭდავი და მრავალფეროვანი პეიზაჟით. ჩვენი ქვეყნის ისტორია მდიდარია ტოლერანტობისა და მრავალფეროვნებისადმი პატივისცემის გამოვლინების მაგალითებით, რომელიც ყოველივე ამის საერთაშორისო სიმბოლო გახდა. ჩვენ მართლაც სიხარულითა და სტუმართმოყვარეობით ვიღებთ სხვადასხვა ხალხსა და კულტურებს.

ჩვენმა ხალხმა: მუშებმა, ბიზნესმენებმა, სტუდენტებმა, მეცნიერებმა და ხელოვანებმა, კრეატიული, მეგობრული და სოლიდარული თვისებების წყალობით შეძლო, შემდგარიყო, როგორც ყველაზე ღია ერი მსოფლიოში. ჩვენ შევქმენით ყველაზე მშვიდობიანი კულტურა. ეს ღირებულებები და თავდაუზოგავი შრომა საფუძველია, რიოს ოლიმპიადა იყოს მსოფლიოში საუკეთესო სპორტული ზეიმი.

ჩვენ მივაღწიეთ ამას ფიფა-ს მსოფლიო თასის დროს და ყველანაირი შესაძლებლობა გვაქვს, ყოველივე ეს, რიო 2016 წლის ოლიმპიური თამაშების დროს გავიმეოროთ. ეს არის მთავარი გამოწვევა, რომლის დასაძლევადაც ოლიმპიადის გამართვამდე ბევრად ადრე დავიწყეთ მზადება და რაშიც ყოველდღიურად ვართ ჩართულები.

მზადება დაიწყო ინვესტიციების ჩადებით ჩვენს ყველაზე მნიშვნელოვან სფეროში — სპორტსა და ჩვენს სპორტსმენებში. შემდეგ კი გაგრძელდა მასიური ინვესტიციების მოზიდვა სპორტული ინფრასტრუქტურის და რიოს ურბანული რესტრუქტურიზაციისთვის, რომელიც, უდავოდ, ყველაზე ლამაზი ბუნებისა და ლანდშაფტის მქონე ქალაქია ოლიმპიური თამაშების გასამართად ანტიკური საბერძნეთის შემდეგ. გასული წლის განმავლობაში დიდი საჯარო ინვესტიციები განვახორციელეთ, რათა სათანადო მატერიალური მხარდაჭერა ჰქონოდათ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებსა და გუნდებს ისეთი პროგრამების სახით, როგორიცაა, „სპორტსმენის სტიპენდია“ და „ბრაზილიური მედლის გეგმა“. ჩვენმა წარმატებულმა სპორტსმენებმა თითოეულ შეჯიბრში გაუმჯობესებული შედეგები აჩვენეს. ისინი ჩვენი დიდი ვარსკვლავები და შთაგონების წყაროა. ბრაზილიის მიერ მიღწეული შედეგები ბოლო, პანამერიკულ თამაშებში, ჩვენი სპორტული ჟინის კარგი გამოვლინება იყო.

ხალხსა და ინფრასტრუქტურაში ჩადებული ინვესტიციები, ოლიმპიური თამაშების ჭრილში, მომავალში საკმაოდ კარგ შედეგებს მოგვიტანს. სპორტული ინვესტიციების ჩადებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ჩვენ მართლაც ვცდილობთ სპორტული პრაქტიკის დანერგვას ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდებში. ეს იქნება არაჩვეულებრივი მემკვიდრეობა, რომელიც რიო 2016 წლის თამაშების შედეგად დაგვრჩება. გვწამს, რომ განათლება და სპორტი ჩვენი საუკეთესო მოკავშირეა საზოგადოების ინტეგრაციისთვის. მათი მეშვეობით ვახდენთ ახალგაზრდების წახალისებას, რომ დასახული მიზნების მისაღწევად იბრძოლონ, განიცადონ სიხარული, ისწავლონ გუნდური მუშაობა და პატივისცემა კონკურენტების მიმართ. სპორტი შთაგვაგონებს კულტურის სფეროში თანამშრომლობას, ის პატივისცემის, ეთიკისა და დაუღალავი შრომის ფასად, გვასწავლის მივაღწიოთ დასახულ მიზნებს და აღვნიშნოთ მიღწეული წარმატებები. თუ გავაერთიანებთ ჩვენი ხალხის ღირსებას, სიხარულსა და სტუმართმოყვარეობას, რიოს 2016 წლის თამაშებიდან მივიღებთ ძალიან კარგ მემკვიდრეობას. ჩვენ, ასევე, გვაქვს რიო დე ჟანეიროს ურბანული მოდერნიზაციის შედეგად მიღებული მემკვიდრეობა — ეს ქალაქი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზია მსოფლიოში და ჩვენი ქვეყნის ეროვნული სავიზიტო ბარათია.

რიო 2016 თამაშების ფარგლებში ფინანსური რესურსების ორი მესამედი ქალაქის ურბანული სამუშაოებისთვის გამოვიყენეთ. ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფართო სპექტრი ისევ მიმდინარეობს: ახალი მეტროს ხაზი, ტრამვაის ხაზი, რომელიც აკავშირებს რიოს მთელ ცენტრს, ასევე ავტობუსების ხაზი, რომელიც ღონისძიებისთვის განკუთვნილ ყველა ობიექტს ერთმანეთთან აკავშირებს. ამ ინვესტიციების მიზანია საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხარისხის გაუმჯობესება, რათა, როგორც თამაშების მიმდინარეობისას, ასევე შემდგომ პერიოდში გამარტივდეს გადაადგილება მათთვის, ვინც მოშორებით ცხოვრობს და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუდმივი მომხმარებელია.

ურბანული ტრანსფორმაცია ყველაფერი არ არის. მაგალითად, რიოს ნავსადგური გახდება დასვენებისა და კულტურის კერა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ათასობით ტურისტისთვის. მომავალში, „პორტო მარავილიაში“ განთავსდება ახალი ოფისი და საცხოვრებელი ნაგებობები. ჩვენ აღვადგენთ ჩვენი საოცარი ქალაქის სიკაშკაშეს, რომელიც უცვლელად განაგრძობს მსოფლიოს მოჯადოებას მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი გახდა.

რიო 2016 წლის თამაშებმა მძლავრად მოიზიდა ინვესტიციები ბრაზილიის კერძო სექტორიდან და ეს მხოლოდ სპონსორობაში ან სასტუმროების ახალი ქსელების მშენებლობასა თუ მოდერნიზებაში არ გამოიხატებოდა.

მაგალითად, ბარას ოლიმპიური პარკი, დიდწილად, კერძო ინვესტიციებით აშენდა, მათ შორის, პარკის ინფრასტრუქტურის ჩათვლით. ოლიმპიური ვილა, რომელიც მთელი მსოფლიოს სპორტსმენებს უმასპინძლებს, ასევე კერძო ინიციატივით შენდება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, უკვე შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ „რიო 2016 წლის თამაშები“ ერთ-ერთი ის ღონისძიებაა, რომელიც კერძო ინვესტიციების ყველაზე მაღალ მაჩვენებელს გვთავაზობს ბოლო 20 წლის განმავლობაში.

დეოდოროს სპორტული კომპლექსი, რომელიც რიოს ერთ-ერთი ღარიბი უბნის გულში მდებარეობს და ქალაქის ახალგაზრდობის უმეტესობაა კონცენტრირებული, რადიკალური სპორტის სივრცედ იქცევა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა მიიღებს მონაწილეობას სპორტულ თამაშებში. ეს ასევე იქნება საწვრთნელი მოედანი ჩვენი საუკეთესო სპორტსმენებისთვის. ბარას ოლიმპიური პარკი გახდება ბაზა მომავალი ოლიმპიური საწვრთნელი ცენტრისთვის, რომელიც მომავალში უმაღლესი დონის სპორტსმენებს მოამზადებს ქვეყნისთვის. ამასთანავე, ხელს შეუწყობს, გააძლიეროს სპორტული თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით, სამხრეთ ამერიკის მეზობელ ქვეყნებთან.

ძალისხმევას არ ვიშურებთ, გაიზარდოს ინვესტიციების დონე მთელ ბრაზილიაში. უკვე გვაქვს 12 საწვრთნელი და სპორტული მომზადების 261 ცენტრი. გარდა ამისა, აშენდა მძლეოსნობის 46 ოფიციალური ტრეკი. სპორტული მემკვიდრეობის ინვესტიცია რიოში და მთელ ქვეყანაში უკვე 1.2 მილიარდ დოლარს აღწევს.

ჩვენ ასევე ვითვალისწინებთ ხარჯების ეფექტურობას და ინსტალაციების მდგრადობას. „მომავლის არენა“, ხელბურთის სათამაშო მოედანი, რომელიც განთავსებულია ოლიმპიურ პარკში, ამის ნიმუში გახლავთ. სტადიონი დროებითი მოდულებით შენდება, რომელიც თამაშების შემდეგ ოთხ სხვადასხვა სკოლად გადაკეთდება.

ამ გრანდიოზული პროექტის რაც შეიძლება „რბილად“ განხორციელება, გარდა საორგანიზაციო კომიტეტისა და საჯარო ოლიმპიური ხელისუფლებისა, მუდმივ ყურადღებასა და ერთობლივ მუშაობას მოითხოვდა ფედერალური, სახელმწიფო და საქალაქო მთავრობის მხრიდანაც. ყველა ეს ორგანიზაცია საკუთარ მოვალეობებს პარალიმპური თამაშების ბოლომდე ინარჩუნებს, რომელიც 2016 წლის სექტემბერში ჩატარდება.

ასეთი კომპლექსური ღონისძიება მინიმალურ დეტალებში მოითხოვს მუდმივ ჩართულობას. უკვე დაიწყო რიოს ინფრასტრუქტურისა და ოლიმპიური პროექტის გამოცდა იმ პირველი ღონისძიებების სახით, რომელიც ქალაქში გამოჩნდა.

ბრაზილია სრულად მზადაა ოლიმპიური თამაშებისთვის. ღონისძიების ორგანიზებასთან ერთად, სიამაყით ვუჩვენებთ მსოფლიოს ჩვენს ბოლო მიღწევებს ძლიერი და კონსოლიდირებული დემოკრატიის სახით, რომელიც მიზნად ისახავს, შეამციროს სოციალური უთანასწორობა ეკონომიკური განვითარებისა და ინვესტიციების საშუალებით.

ეს მთლიანად ქვეყნის კოლექტიური ძალისხმევაა. 15 ათას ოლიმპიურ და პარალიმპურ სპორტსმენს, ათასობით გულშემატკივარსა და მილიარდობით მაყურებელს უნდა ვაჩვენოთ ჩვენი ძალა, რომ მზად ვართ, მივიღოთ და გადავლახოთ უამრავი გამოწვევა. ბრაზილიის საზოგადოება ისევე კარგად მიიღებს სპორტსმენებსა და ტურისტებს, როგორც 2014 წლის ჩემპიონატის დროს, როდესაც მთელმა ქვეყანამ საზეიმო განწყობით, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის მაღალი დონით მოაჯადოვა მთელი მსოფლიო.

იმ პერიოდში, ყველა, ვინც კი ტელევიზორში ადევნებდა თვალს აქაურ ზეიმს, ბრაზილიაში ყოფნას ნატრობდა, ამიტომ მხოლოდ ნატვრას ნუ დასჯერდებით — ჩამოდით და ისიამოვნეთ ყველა იმ ბედნიერი წამით, რასაც ოლიმპიადა და ისეთი ქვეყანა, როგორიც ბრაზილიაა, ნებისმიერ დროს გთავაზობთ: მშვიდობა, სიყვარული, მხიარულება და დიდი, დიდი ბედნიერება! გელოდებით ყველას გაშლილი ხელითა და მთელი გულით.

ს უ დ ო კ უ მ ა ნ ი ა

ადვილი

1			2		3		7	
	6			9				2
		5						
		7	6		1		3	
9			7		2			5
	3		9		5	4		
						2		
4				2			8	
	7		4		8			3

სტანდარტი

3		6		5				
	5				7			6
9		8			4			
			4	3			1	
	9		7		1		4	
	2			8	5			
			5			3		2
6			1				9	
				4		1		8

რთული

	7		1		9			
6		1		3	8			
4								
	6		9	8		5		3
		9				2		
8		3		2	5		9	
								2
			6	1		4		8
			3		2		1	

ექსპერტი

		1	9				8	7
		6	8		4			
3								
6					8	2	7	
			7	5	6			
	9	7	4					5
								2
			6		2	9		
4	2				7	8		

პირველი წყალქვეშა რესტორანი

მალდივის კუნძულებზე მდებარე ოტელში Niyama მსოფლიოში პირველი წყალქვეშა კლუბ-რესტორანი Subsix გაიხსნა. დაწესებულება 6 მეტრის სიღრმეზეა განთავსებული, სანაპიროდან კი 500 მეტრში მდებარეობს. რესტორნის მაღალი შუშის ფანჯრების მიღმა კლიენტებს შეუძლიათ ინდოეთის ოკეანის წყალქვეშა სამყაროს პანორამით დატკბნენ. აქ 90 სახეობაზე მეტი მარჯნის რიფებია, თევზებისა და ზღვის სხვა ბინადრების უამრავი სახეობა. დაწესებულების ინტერიერიც ასევე ორიგინალურად ასახავს ზღვის ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებას. როგორც რესტორნის მენეჯერი აცხადებს, ვინც Subsix-ს ეწვევა, მარჯნის რიფებს ყოველგვარი ნიღბისა და ჰიდროკოსტიუმის გარეშე დაათვალიერებს. ამ კლუბ-რესტორანში სადილი ერთ ადამიანზე 165 დოლარი ჯდება და შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ დაწესებულება კლიენტების შეზღუდულ აუდიტორიაზეა ორიენტირებული.

შრომის ბირჟამ სამუშაოდ ბორდელში გაგზავნა

გერმანიის ქალაქ აუგსბურგში შრომის ბირჟამ შოკში ჩააგდო ახალგაზრდა გოგონა, რომელიც სამუშაოდ ბორდელში გაგზავნა. რასაკვირველია, სამსახურის მაძიებელი ძალიან უკმაყოფილო დარჩა ასეთი შეთავაზებით. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, 19 წლის გოგომ, სამუშაოს პოვნის იმედით, ადგილობრივ შრომის ბირჟას მიაკითხა და იმედი ჰქონდა, ოჯახში დამხმარედ ან ძიძად იმუშავებდა. თუმცა, როცა შრომის ბირჟიდან ოფიციალური წერილი მიიღო, მოულოდნელობისგან შოკში ჩავარდა — ბირჟამ სამსახური „აუგსბურგის კოლიზეუმში", ბორდელში უშოვა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში პროსტიტუცია კანონით არ არის აკრძალული, აქაურების უმრავლესობას მაინც სამარცხვინო საქმედ მიაჩნია. როგორც ბირჟის დირექტორი აცხადებს, შეცდომა დაუშვეს — თანამშრომელს ჯერ უნდა დაერეკა და ეკითხა გოგონასთვის, იმუშავებდა თუ არა ბორდელში და წერილი მერე გაეგზავნა.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

8	1	5	3	7	6	2	4	9
3	7	9	5	2	4	6	1	8
6	4	2	1	8	9	7	5	3
7	9	6	8	5	3	1	2	4
5	3	1	4	9	2	8	7	6
4	2	8	7	6	1	9	3	5
2	8	7	9	4	5	3	6	1
1	6	4	2	3	8	5	9	7
9	5	3	6	1	7	4	8	2

სტანდარტი

6	2	7	8	1	5	4	3	9
5	4	3	9	7	6	2	1	8
1	9	8	4	3	2	7	5	6
2	1	9	3	8	7	5	6	4
4	8	6	5	2	1	9	7	3
7	3	5	6	4	9	8	2	1
3	7	4	2	6	8	1	9	5
9	6	2	1	5	4	3	8	7
8	5	1	7	9	3	6	4	2

რთული

8	2	5	1	6	7	4	9	3
4	1	3	5	9	8	6	2	7
9	7	6	4	3	2	1	8	5
7	8	1	3	4	9	5	6	2
3	6	4	2	1	5	9	7	8
5	9	2	8	7	6	3	1	4
6	5	9	7	2	4	8	3	1
2	3	8	9	5	1	7	4	6
1	4	7	6	8	3	2	5	9

ექსპერტი

2	1	9	8	5	7	6	4	3
4	6	3	2	1	9	8	7	5
5	8	7	6	4	3	2	1	9
3	9	6	5	8	4	1	2	7
1	5	8	9	7	2	4	3	6
7	4	2	3	6	1	9	5	8
6	3	5	4	2	8	7	9	1
9	2	1	7	3	6	5	8	4
8	7	4	1	9	5	3	6	2

მე-10 გვერდი: 1. აგენტი; 2. გოლგოთა; 3. ნირვანა; 4. მწვადი; 5. წიწამური; 6. არვე; 7. თორაძე; 8. როქსანა; 9. გორილა; 10. ძერა; 11. ამური; 12. ადა; 13. რაფსოდი; 14. ლავიწი; 15. ალტი; 16. მორდუ; 17. თონე; 18. ალტი; 19. ზმა; 20. საარი; 21. ოლე; 22. ზაქარა; 23. პუანტები; 24. ფხენიანი; 25. ბორისი; 26. იდენტიფიკაცია; 27. სოლ; 28. ლემა; 29. პანო; 30. ბრედლი კუპერი; 31. როდენი; 32. არიოზო; 33. ნუარე; 34. რუხი; 35. ლისი; 36. აარე; 37. ელდორადო; 38. ოაზისი; 39. რულადა; 40. ნიტი; 41. დანი; 42. მადერა; 43. ტირი; 44. აბი; 45. ლანოლინი; 46. ტოკაი; 47. მიზანსცენა; 48. ელიტა; 49. ბუდე; 50. ნიკე; 51. კობა; 52. კლარუსი; 53. ზიზია; 54. კაი; 55. ერთაოზი; 56. ფოთი; 57. ტახი; 58. სტიქსი; 59. სტარტი; 60. დისკო; 61. ვივიპარია; 62. საირა; 63. თეატრი; 64. ტოტია; 65. ვარდი; 66. ესებუა; 67. ნუ; 68. ია; 69. ინდი; 70. ერე; 71. ტრანსი; 72. „ქარადაი"; 73. არა; 74. ცუცა; 75. სარმა; 76. ოე; 77. ილიკო; 78. ენა; 79. ტრიო; 80. ისევ; 81. ოზი; 82. კიმ; 83. ლუმიერი; 84. აისი; 85. ბოა; 86. გო;'87. ინგა.

მე-12 გვერდი: 1. „ბუდენბროკები"; 2. ჰაბანერა; 3. ბერძენიშვილი; 4. დოდე; 5. „ნიკორა"; 6. რაპირა; 7. ჰოლოკოსტი; 8. ბეთლემი; 9. ნურაგები; 10. რაიო; 11. ლეი; 12. იავა; 13. ომარი; 14. პიკადორი; 15. ლეთარგია; 16. ირა; 17. ივანე; 18. რეჰანი; 19. დო; 20. ნარმა; 21. „რერო"; 22. კრეიგი; 23. ინა; 24. ტაიფუნი; 25. მრევლი; 26. აბაი; 27. „ნივეა"; 28. ხარატი; 29. იაკობი; 30. ბოლიდი; 31. აორტა; 32 შაჰრიარი; 33. ინია; 34. ხოხობი; 35. რეკორდი; 36. იაბო; 37. იტი; 38. ბონი; 39. ნაია; 40. შნო; 41. კოკი; 42. სარო; 43. ორე; 44. აბზინდა; 45. აფრა; 46. დრო; 47. ხაკი; 48. სოლიტერი; 49. სირ; 50. დიკლო; 51. ბირდაბირი; 52. ელ; 53. არესი; 54. „რენო"; 55. „ჩარდაში"; 56. იდა; 57. რიდე; 58. ვერიკო; 59. იელი; 60. კასკა; 61. კაა; 62. ასო; 63. აჩულ 64. დუ; 65. პინო; 66. თიბათვე.

კაცები უფრო მატყუარები არიან

მკვლევარებმა ნისლიანი ალბიონიდან გაარკვიეს, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლები უფრო ხშირად ტყუიან და თან არც დანაშაულის გრძნობა აწუხებთ. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ კაცები მიჩვეულები არიან, დღეში სამჯერ მოიტყუონ და შედეგად, წელიწადში 1092-ჯერ ცრუობენ. ქალების მაჩვენებელი წელიწადში მხოლოდ 728 ტყუილია. გამოკითხული მამაკაცების 30%, სინდისის ქენჯნასაც არ განიცდის, როცა ცრუობს. ტყუილების უმრავლესობას ისინი მშობლებს ეუბნებიან, პარტნიორს კი რესპოდენტთა მხოლოდ 10% ატყუებს. რაც შეეხება სუსტი სქესის წარმომადგენლებს, მათი 80% წუხს იმის გამო, რომ მოიტყუა. აღმოჩნდა, რომ ქალების ტყუილი უფრო დახვეწილი და კარგად მოფიქრებულია, ვიდრე მამაკაცებისა. სიცრუის ბუნება კი, სწავლულებმა ჯერჯერობით საბოლოოდ ვერ გაშიფრეს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125
დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge

გართობა

1. საგანთა რაოდენობა დუკინში
2. კალათბურთის მეფე
3. იგივეა, რაც ბეოლა
4. ქაღალდის გრაგნილი
5. ბავშვის მოსანათლი საეკლესიო ჭურჭელი
6. ერთი წერტილი კამათელზე
7. ქონდრისკაცი
8. იტალიური პელმენი
9. დიდი სიზუსტე მათემატიკაში
10. ტიბეტური ხარი
11. მარტის ძველქართ. სახელწოდ.
12. აფრიკის არაბული სახელწოდება
13. ქალაქი რაჭაში
14. აჭარის საკურორტო ქალაქი
15. მიმდინარეობა ისლამში
16. რომის იმპერატორი
17. ვაჟას "ბახტრიონის" პერსონაჟი
18. ცნობილი იტალიელი მხატვარი
19. „ნისან მოტორის" ავტომარკა
20. ჟანგბადის სამატომიანი მოლეკულა
21. ლაბორატორიული ჭურჭელი
22. საოპერო პარტია
23. ისტორიის მუზა
24. მჭევრმეტყველი
25. დახრილი შრიფტის სახეობა
26. პარიზის აეროპორტი
27. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა
28. ისრის წვერი
29. გამოჩენილი რუსი ფერმწერი, აკვარელისტი კარლ ...
30. სამოთხის ბაღი
31. ინდონეზიური „ძინი" კამეჩი
32. ჰოლივ. მსახიობი კეტრინ ...
33. უნგრელი მხატვარი ... ზიჩი
34. ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული
35. საბერძნეთის უდიდესი კუნძული
36. ფილიპინების უმარლესი მწვერვალი
37. მეფე დავით VI-ის თიკუნი
38. კავალერთან მოცეკვავე ქალი
39. სახის მიმიკის სრული მოშლა
40. პირენეის უმაღლესი მწვერვალი
41. ებრაელთა რეპატრიაცია სამშობლოში
42. ტროპიკული ხილი
43. მდინარის ნიმფა
44. ბერნადეტ ლაფონის კინოგმირი
45. ძვ. ფრანგული სიგრძის ერთეული
46. ანძა ძველ ქართულში
47. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
48. მაქსიმუმის ანტონიმი
49. ნაპოლეონის მარშალი
50. გერმანელი ფიზიკოსი
51. ანდერსენის მშობლიური ქალაქი
52. ანტიკური კავალერია
53. არქიმედეს ცნობილი წამოძახილი
54. მუსიკალ. გამის VI ნოტი
55. მამართვა ქსპანელი მამაკაცისადმი
56. პირის ღრუს ზედა ნაწილი
57. „დეტექტივების დედოფალი" ... კრისტი
58. ბაჰრეინის დედაქალაქი
59. რუსი მწერალი ქალი
60. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი
61. აშშ-ის შტატი
62. შხამიანი გომბეშო
63. აფრიკული ანტილოპა